მოთხოვნით. 2014 წელს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ მოსახლეობის 55% იყო. პოლიტოლოგების შეფასებით, ახლა საპირისპირო ვითარებაა. შოტლანდიელების სურვილი ევროკავშირში დარჩენაა, დამოუკიდებლობის მიღების შემთხვევაში დიდ ბრიტანეთს დაშლის საფრთხის წინაშე დააყენებენ. საგარეო დეპარტამენტის მიერ დაგეგმილი, რომლის სურვილია, გაზარდოს ციხეების რაოდენობა და პოლიციას განუსაზღვრელი უფლებები მიანიჭოს.

გასულ კვირას ამერიკულ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ აშშ-ის ადამინისტრაციას კუნძულ გრენლანდიის ყიდვა სურს. იქაური პრესის ინფორმაციით, დონალდ ტრამპს ამ საკითხზე უკვე ჰქონდა კონსულტაციები თავის თანამშემშვეებთან და იურისტებთან. საკითხი ტრამპის დანიამი (გრენლანდია, მოგესხენებათ, დანიის ტერიტორიაა) ვიზიტამდე გააქტიურდა. პანს ქრისტიან ანდერსენის სამშობლოს ხელისუფლებამ გავრცელებული ინფორმაცია უკბილო ხუმრობად შეაფასა. თუმცა ორი დღის წინ დონალდ ტრამპმა დაადასტურა, რომ აშშ-ს კუნძულის შეძენის სურვილი აქვს: „...გვექონდა მსჯელობა ამის შესახებ. საინტერესოა, როგორ გაიგეს ჟურნალისტებმა“, — განაცხადა ტრამპმა.



ევროპაში დანია ყველაზე პრო-ამერიკული ქვეყანაა, მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, კუნძულის გაყიდვაზე დათანხმდეს. თითქმის წელიწადია, აშშ-გერმანიას შორის ცივი ურთიერთობა ამკარა გახდა. უთანხმოების ერთ-ერთი მიზეზი გახსდენ „ჩრდილოეთის ნაკადი-2“-ის მშენებლობაა. ამის გარდა, სავაჭრო ომმა გერმანიული ბიზნესიც საკმაოდ დაზარადა. ექსპერტების შეფასებით, თუ შეზღუდვები კვლავ გაგრძელდება, შესაძლოა, ამან მსოფლიოში რეცესია გამოიწვიოს. განსაკუთრებული პრობლემები გერმანიაში მსხვილ ფირმებს შეექმნათ. გაჯიუტების გამო აშშ გერმანიას ქვეყნიდან ჯარების გაყვანით დაემუქრა. ამასვე გერმანელებმა უპასუხეს: „...თქვენი ბიროკრული

განცხადება 67 წლის მანძილზე მას არ გაუკეთებია. საგარეო დეპარტამენტის მიხედვით, ევროკავშირიდან მოსალოდნელი უპირობო გასვლაა. მკაცრმა „ბრექსიტმა“ მოსახლეობაში პანიკა გამოიწვია. ისინი მასიურად ყიდულობენ პირველადი მოთხოვნილების პროდუქტებს და მედიკამენტებს. ექსპერტების გათვლებით, მოსახლეობამ უკვე 4 მილიარდი გირვანქა სტერლინგი დახარჯა მარაგის შესაძენად. ბრიტანეთის ახალი პრემიერ-მინისტრი ბორის ჯონსონი „ბრექსიტის“ სააგენტაციოდ შოტლანდიაში, ირლანდიაში და უელსში იმყოფებოდა, მაგრამ, ფაქტობრივად, უშედეგოდ. შოტლანდიელები ახალი რეფერენდუმის ჩატარებას გეგმავენ დამოუკიდებლობის

ივლისის დასაწყისში აშშ-ში დაპატიმრებული მილიარდერი ჯეფრი ეპშტეინი, რომელსაც ბრალად არასრულწლოვანების სექსუალური ექსპლუატაცია წაუყენეს, 8 აგვისტოს ციხის საკანში გარდაცვლილი იპოვეს. ექსპერტებმა თვითმკვლელობა დაადასტურეს, მაგრამ ამისი არავის სჯერა, განსაკუთრებით, ჟურნალისტებს, რომლებიც დიად წერენ, რომ ეპშტეინის გარდაცვალებაში გარკვეული ძალები „მიეხმარნ“. საინტერესოა, რომ ინფორმაციის გავრცელების შემდეგ დონალდ ტრამპმა ასეთი განცხადება გააკეთა: „...მან ბილ კლინტონის შესახებ ბევრი იცოდა“. ეპშტეინის „შავი უბის წიგნაკი“, რომელიც მის ოფისში იპოვეს, ბრიტანეთის ყოფილი პრემიერის ტონი ბლერის კოორდინატებია. ეჭვობენ ასევე ეპშტეინის ბრიტანეთის პრინც ენდრიუსთან ახლო კავშირს. რაც მთავარია, რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ეპშტეინის ოფისში ნაპოვნი ბილ კლინტონის ფოტო, რომელიც ლურჯ კაბასა და წითელ, მაღალქუსლიან ფეხსაცმელშია აღბეჭდილი... ეპშტეინის გარდაცვალებაზე მოკვლევა გრძელდება, რომელსაც აშშ-ის გენპროკურორი უილიამ ბარი კურიერებს, მაგრამ მიცვალებული უკვე ვედარავის დაასახელებს, ვინც მისი მომსახურებით სარგებლობდა.

გია გურდული
551 71 27 07



ურობას კვლავ ის აკონტროლებს: 2020 წელს, აი, ამ ჭაობში უპირებენ საქართველოს კვლავ შეტყუებას ხაზარაძეები, ბოკერიები, სააკაშვილები, ბაქრაძეები, უგულავები და მათნაირები. ეს შევარდნადის მერ დატოვებული მარადიორების ლაშქარია, საკუთარი ქვეყანა რომ დაიპყრო და საკუთარი ხალხი პირწინდოდ რომ გაძარცვა. აი, ეს ლაშქარი აპირებს 2020 წელს უკან შემობრუნებას და საქართველოს ხელეორედ, აწ უკვე სამუდამოდ და სამარადისოდ, დაპყრობა-დაპატრონებას.

ბევრჯერ მითქვამს და კიდევ ბევრჯერ გავიმეორებ, სანამ დაფრუებულ და დაბრმავებულ ადამიანებს არ გავაგონებ: 2012 წლის ოქტომბერში ქართველმა ხალხმა ბიძინა ივანიშვილთან ერთად არა მხოლოდ სააკაშვილის ცხრაწლიანი რეჟიმი დაამარცხა, არამედ დაამარცხა შევარდნადის ათწლიანი რეჟიმიც. ეს 9 და 10 წელი ცალცალკე არ არსებობს, ეს არის 10+9 წელი, როგორც ერთიანი უწყვეტი ჯაჭვი, როგორც ერთმანეთის დასაწყისი და გაგრძელება.

პანტანო ხარჩილაძე



მინაწერი:
სანამ ეს წერილი გამოქვეყნდებოდა, „იმედის“ ეკრანზე ნიკა ლალიაშვილის ფილმი გავიდა, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ამბებზე მოგვითხრობს. ამ ფილმის გარშემო ატეხილ ფაფანს და გნაისს რომ ვუსმენ, კიდევ ერთხელ ვრწმუნდები: ამ ქვეყანაში სიმართლის თქმა ჯერ კიდევ აკრძალულია და თანაც აკრძალულია პატრიოტიზმის სახელით! როგორც ჩანს, 2008 წელს გამოცხადებული მორატორიუმი, რომლის მიხედვითაც არაფერი არ უნდა თქმულიყო აგვისტოს ომში მიხვილ სააკაშვილის და „ნაცმოძრაობის“ მირ ჩადენილ „საემირო“ საქმეებზე, ჯერ კიდევ ძალაშია. ამ მორატორიუმის პათოსს თუ ავყვებით, თურმე სამშობლოს დალატია, როცა სამშობლოს მოღალატეებს ვამხელთ, მაგრამ სამშობლოს მოღალატეებს თუ გმირებად და რუსული აგრესიის უმანკო მსხვერპლებად წარმოვაჩინოთ, ეს უკვე პატრიოტიზმია. ყოველივე ეს სხვა არაფერია, თუ არა სააკაშვილის და „ნაცმოძრაობის“ თავგანწირული მცდელობა, როგორმე დაფარონ ის შემზარავი დანაშაული, რაც მათ 2008 წლის აგვისტოში საქართველოს წინაშე ჩაიდინეს. ლალიაშვილის ფილმში დოკუმენტურად არის ასახული შემადრწუნებელი სიმართლე აგვისტოს მოვლენების შესახებ, თუმცა მაინც რჩება შთაბეჭდილება, რომ ავტორმა დაინდო ქართველი მაყურებელი და ბოლომდე არ თქვა სათქმელი. „საერთო გაზეთის“ ძალიან ბევრი მასალა აქვს გამოქვეყნებული აგვისტოს ომის შესახებ. მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ ორი წლის წინათ გამოქვეყნებულ ერთ წერილს და დარწმუნდებით, რომ სიმართლე 2008 წლის ამბებზე კიდევ უფრო საზარელია, ვიდრე ამ ფილმით ჩანს. და ბოლოს: როდის გამოქვეყნდება ტელეკომპანია „იმედის“ იმ „პატრიოტი“ ჟურნალისტების სია, რომლებიც ამ ფილმის გამო ნიკა ლალიაშვილს უპირისპირდებიან?

გონა გვასალია:

აკაკი ბაქრაძის წინააღმდეგ

აკაკი ბაქრაძეს უდიდესი ავტორიტეტი აქვდა ეროვნული მოძრაობის დროს. მას 90-იანი წლების ილიას უწოდებდნენ. მისი ლექციებისა და მოხსენებების მოსასმენად ხალხი მოიქროდა და ტევა არ იყო. მის სატელევიზიო გამოსვლებს მთელი საქართველო უსმენდა და შემდეგ ბჭობდნენ ამას. ბოლოს ისე საჯაყად დაემართა ბაქრაძეს, რომ მტერიც ვერ უზამდა. ქართველთა გულებში აღმართულ დიდების კვარცხლბეკიდან ბაქრაძე გაიპარა. ცხოვრებამ დასცინა მის მედასავლეთეობას და ჩაღვდა აქცია მისგან თქმული სიტყვა. ქართველებს ხელთ შერჩათ ნაერისკაცალი, კომუნისტების ნასახლარი ერთი მოზუტბუტე კაცი, ეროვნული მოძრაობის საბოლოო დასამარების მონაწილე, შევარდნადის მოდასე. ისე ჩავიდა ის საფლავში ცხოვრებისგან დაძრახული, რომ ერთი არა უთქვამს რა თავისი ძველი სახელის შესაფერი.



ერის შუქურად დასახული კაცი 1992 წლის დამდეგსვე ჭვარტლიანი კვარის შუქსაც ძლივს დაგამოსცემდა. მისი სახელი გააცამტვერა სამოქალაქო ომის პირველივე დღეებში. ჩაიყვანა ბაქრაძე 1992 წლის დასაწყისშივე. მან თქვა 1991 წლის შემოდგომაზე, როცა თბილისი ყარდა ქართველთა შლეგობითა და ისტერიით, რომ სამოქალაქო ომი არ დაიწყებოდა. ბაქრაძისგან დარჩა ჯაბა იოსელიანის მეგობარი, დაჭიავებული კაცი, რომლის კალამი სამოქალაქო ომის სისხლშია გასერილი. მას ერთი არა უთქვამს რა, როცა ზვიადელებს დევნიდნენ, აწამებდნენ, როცა ეროვნული მოძრაობისგან მტვერიდა დარჩა, როცა სამეგრელო აიკლეს, შევარდნადის მეცადი-

ბაქრაძეს გაუჭირდა საქართველოს მასშტაბით ამდღებაც კი. სანამ კომუნისტების დალაგებული იყო ქართლი, მანამ ჩანდა ბაქრაძე ქართველ ერისკაცად. ის იყო თბილისელი გურული და ასეთად დარჩა. არაფერმა ისე ნათლად არ გამოაჩინა ეს, როგორც საბჭოთა სისტემის დამთავრებამ. ბაქრაძე იყო რუსთა მიერ ნათამამები, იოლი ცხოვრებით აცეტებულ თბილისელთა სალონის პოლიტიკური მოქმედი, ოთახის მოუბნარი, რომელიც გარეთ არად ვარგოდა. ვაკელების პოლიტიკური მკითხავი და მოლიქნე მარჩიელი იყო ბაქრაძე. ასეთი მარჩიელობა მაშინ ცოტას ეხერხებოდა, დღეს კი მათ ლაშქარს გახეთქილი აქვთ აკლებული. ქათმის ჭკუითა და მამუ-

კაცობა შეუგინა. მათი ვესტერნისტობიდან (მედასავლეთეობა) კი ბეწვიც აღარ დატოვა შეუბღალავი. ბაქრაძე მოესწრო საქართველოს გახრწნას შევარდნადის მიერ. ასეთი ლაპარაკით ერთობოდნენ აქ წლობით, რომ ქართველმა სტალინმა გაყო გერმანია, დიდმა პოლიტიკოსმა, ქართველმა შევარდნადემ კი გააერთიანა და თურმე ამ ქართულ ფენომენს მსოფლიო იცნობს. არა, შევარდნადემ რა გააერთიანა? გაზეთის დონეზე მეტი კი არ იყო და არის ქართველი ინტელიგენცია. ან კიდევ ასეთი ნათქვამი: სატანა გამსახურდიამ მამარდაშვილს გული გაუხეთქა. ბაქრაძე იყო ყოველივე ამის შემსწერი. პლურალიზმის გაგრძელება ჩაყენებული ბაქრაძე აღმოჩნდა

რომ თქვა იმაზე, რომ ქართველი ინტელიგენციის ასეთმა საარაკო არაკაცობამ გაამართლა ბოლშევიკური რეპრესიები და არარად აქცია ამ რეპრესიების გამო ცრუ ჭირისუფალთა მიერ გაზეთებსა და წიგნებში ატეხილი ვაი-უშველებელი. ბაქრაძემ ხმა ვერ ამოიღო იმაზე, რომ დასავლეთმა მოიტანა ნეოკოლონიალიზმი და ლიბერტარიზმი. არც იცოდა ეს რა იყო. იოტისოდენა არა დარჩა რა ეროვნული მოძრაობიდან უკვე 1992 წლის ბოლოსათვის. ეს გააკეთეს თავად ქართველებმა და მასონებს კი დააბრალეს. სიცრუე იყო ამდენი ბიბლიობა. რუსთა მიერ სახრითა და ხიშტით მოკრებილი ქართველი ნაცია ისევ დაიშალა ტომებად. ომები და დაცემა სხვა ხალხებსაც გადაუტანიათ, მაგრამ ისინი შთებიან ნაციებად. მათ საკუთარი ქვეყანა არ გაუძარცვათ. ქართველნი კი ერთურთის დამძრახველ და დამჩაგრავ ტომებად ჰვიან. საბჭოთა იდეოლოგიის სიცრუე შეცვალა საქართველოს ისტორიის სიცრუემ, როცა გამოდის უამრავი ნაწერი ქვეყნის ფეოდალურ წარსულზე, მეფეებზე, თავადებსა და მღვდელმთავრებზე. ახლანდელი საკითხების, ისტორიის ფილოსოფიის სარბიელზე კი ვერა რა ითქმის. წარსულის ჩხრეკა და მისი სანაქებოდ გამოჩენა არის დღეისთვის სიძულეთაგან თავდასაძვრენი, ლანჩობისა და ინდიფერენტობის, უცოდნელობის მისაჩქმალე ილეთი. ბაქრაძე ყოვე-

ლივე ამასვე დუმიდა. კი იძლეოდა ინტერვიუებს 1992 წლის შემდეგ, მაგრამ სათქმელი მას არ უთქვამს. ბაქრაძის ქართული ქართლს კარგი არა ეწია რა. ქართულ სუფრასავითაა მთელი საქართველო. ყველაფერი ნარიოშალია, გამოგონილია. ყველაფერი წვეული და ტაკიამასხრულია.

ბაქრაძის ერთი-ორი საჯარო გამოსვლა მეც მომისმენია და ვერას ვამბობდი ეჭვსა და უკმარობის განცდაზე. შემოგზავნილსა და პროვოკატორს მეტყობდნენ თავმომწონე თბილისელნი. არც წამოდგომასა და შეკითხვას ჰქონდა აზრი. პოლემიკაზე ხომ ზედმეტი იყო ლაპარაკი. საყოველთაო მონაჩმანმა ვეროპულ საქართველოსა და ოდითგანვე მის ევროპისკენ სწრაფვაზე ცნობა მოუწამლა ქართველობას. ამაში კი ნამეტურ ბაქრაძეს მიუძღვის დიდი წვლილი. მკვანე შემახილი თავად ბაქრაძეს ეკუთვნის და აი რატომ:

„ქართული მწერლობის“ 30-ტომეულის მეხუთე ტომის (გამომც. „ნაკადული“, თბ. 1988), წამძღვარებული აქვს აკაკი ბაქრაძის წინასიტყვაობა (გვ. 5-30). ეს არის ყოველად აფრაკული მსჯელობა მსოფლიო ისტორიის უცოდნელი ბაქრაძისა. მან იცოდა საქართველოს ისტორია და ეს შეეწია სახელის მოპოვებაში. საქართველოს იქით რა იყო, ბაქრაძე ამაში ვერ გაერკვა ცხოვრების ბოლომდე. აი ეს წინასიტყვაობა რომ არ დაეებჭდათ კომუნისტ ცენზორებს, მერე ამასვე დადგებოდა მიეთმოეთი, რომ აგერ, ბაქრაძეს არ დაუბეჭდეს ეროვნული სულით აღბეჭდილი ტექსტი და მისთანანი. ამ წინასიტყვაობას დამწუხრებული სახეებითა და ოხვრით კითხულობდნენ ქართველნი და ისე არჩევდნენ მას, ვითომც დიდი ნააზრევი ყოფილიყოს. ეროვნული მოძრაობა იწყებოდა იმ 1988-ში და ყოველი ასეთი ნაწერი, რაც ქართველთა თავმომწონობას აამებდა, რომ ისინი ევროპელები იყვნენ, ხელიდან ხელში გადადიოდა. აი, ასეთი უარსებითი საკითხის გარჩევამ, როგორცაა ქვეყნის ხანგრძლივი ორიენტაცია, იყო და არის ამდენი ზერელობა, მამამელობა, პატრი-



გონა გვასალია — ნიჭიერი ფილოსოფოსი, პუბლიცისტი, ესეისტი, მეცნიერი, წლეულს, გაზაფხულზე, 53 წლის ასაკში გარდაიცვალა. მთელი სამი წელი ებრძოდა უკურნებელ სენს, მაგრამ ერთი წუთით არ შეუწყვეტია მუშაობა — წერდა შესანიშნავ წერილებს, ესეებს, თარგმნიდა, კითხულობდა ლექციებს.

გონა გვასალია, პირად ცხოვრებაში უადრესად თავმდაბალი და მოკრძალებული ადამიანი, უადრესად უკომპრომისო და პრინციპული იყო, როცა საქმე მისი ქვეყნის საჭირობოლო საკითხებს ეხებოდა.

მის კალამს ეკუთვნის ნარკვევების კრებული „ფორმაცია და ცივილიზაცია“, ხოლო მისი წიგნი „თერიონის ვარდი“ 2010 წლის საუკეთესო წიგნად დასახელდა კრიტიკისა და ესეისტიკის დარგში. წერილი „აკაკი ბაქრაძის წინააღმდეგ“, რომელსაც დღეს ვთავაზობთ „საერთო გაზეთის“ მკითხველებს, კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, თუ როგორი ფართო მასშტაბის მოაზროვნე იყო გონა გვასალია — საქართველოსადმი უანგარო სამსახურს შეწირული ეს სანთელივით წმინდა და სუფთა კაცი.

ნობით ომები განზრახ წააგეს და ათიათასობით ქართველი გაწყდა. ის გაებუტა ჯაბა იოსელიანს და ელდარ შენგელიამ შეარია. ეს თამაზ ჩხენკელისაგან და თავად ჯაბა იოსელიანისგან ვიცი. რაღაც ზუმრობა იწყინა იოსელიანისაგან და ამიტომ გაებუტა. ბაქრაძე არ იყო ის კაცი, რომ იოსელიანისთვის პირში მიეხალა სათქმელი. შევარდნადის გამხრწნელმა ბატონობამ წარმოაჩინა, რომ ბაქრაძე იყო ჩვარი, რომელსაც თავი აღარსად გამოეყოფოდა. მახსოვს, ტაბლიდი, A4 ფორმატის გაზეთუკა გამოუშვა უცხოებლანეტელებზე 1993 წელს. დაჩიავებული ბაქრაძე დაიარებოდა შევარდნადის მოდასეთა შეხვედრებზე, ირეოდა იმ ლიბერტარიზმულ პარტნომენკლატურასა და მას გადაჭდობილ ანტისაბჭოელ დისიდენტებს შორის, რომელსაც ასე უშედავთოდ ებრძოდა მართალი სიტყვით საბჭოთა პერიოდში. ის მოესწრო ინტელიგენციის კლასის დეგრადაციას და ზნედაცემულობას.

ლიშვილური ჯამბაზობით ქვეყანას აოცებენ. ბაქრაძეს არ შეეძლო ქართველთა მასის დარაზმვა კი არა, არამედ დიდი პოლიტიკური თავფრილობის გაძლიერაც კი. საბჭოთა დროს ბაქრაძე რომელიმე მწერალთან ან ქურდის მეგობარ თეატრალთან სტუმრად მივიდოდა. იყო ერთი ქირდა და ქილიკი რუსებზე. ეს თეატრალი თან ქურდულს აწვებოდა და თან ერისკაცობდა. თავისი თავი ყველას ინტელექტუალური ელიტის წევრი და ნამეტურ ჭკვიანი ეგონა. ერთურთს ეჯიბრებოდნენ ლენინზე ან მარქსზე სიმძადის თქმამი. ამათ თავი ევროპელებად მიაჩნდათ, რომელნიც აზიატმა რუსებმა დაიპყრეს და ჩაგრავენენ. ამათ ეგონათ, რომ ვინმე საკლისობდა ქართველთა ევროპაში და მათ მისვლას ელოდნენ. ესენი 1991 წლის მიწურულს ყიჟინით მიეგებნენ სამოქალაქო ომის დაწყებას და შევარდნადის ჩამოსვლას ტაშით შეხვდნენ. რა უყო ყველა ამათგანს ცხოვრებამ. დედის საშო თავზე დაახურა და

ერთი ჩია კაცი, ისეთი უმწეო და გაცრიატებული ვიეთი, რომ არც დაიჯერებდი ამის სახელოვან კრიტიკოსობას კომუნისტების ზეობის ეამს. 1992 წლის კატასტროფის შემდეგ, 1993-98 წლებში ბაქრაძემ ვერაფერი დაწერა გამოსაჩენი და ქვად დასადები. მან არაფე-



ოტიზმს ამოფარებულ ჭკუანაკ-
ლულთა ბოლშევიზმს. იმიტომაც
არის ქართლის საქმე შავად. ამითი
წიგნების მიხედვით რომ განსაჯო,
ყველა ჭკვიანია, მთელი საქართ-
ველო კი მუდამ მოლორებულია.

ამ წინასიტყვაობაში ბაქრაძე
ამბობს, რომ იოანე მთაწმიდელი
ესპანეთს აპირებდა გამგზავრე-
ბას. ვთქვათ, ესპანეთის ევროპული
იმპერიის ზეობისას (XVI-XVII
საუკუნეები) ვინმე ქართველი
ჩასულიყო იქ და ეთქვა, რომ ის
ესპანელთა ნათესავია და კავ-
კასიის იბერიიდან სამხვეწრად
მოვიდა. არა, ხომ იარა ევროპა-
ში იმ თარსიან 1700-იან წლებში
სულხან-საბა ორბელიანმა და
რა ჩიტი დაიჭირა? არვინ უგდო
ყური და წამოვიდა გაწილებული.
მაშინ ესპანეთის იმპერია კიდევ
მძლავრობდა. ხომ შეიტყვეს ესპა-
ნელებმა, რომ კავკასიის იბერიი-
დან ელჩი დადიოდა ევროპაში და
მერე? ბაქრაძე არ აყენებს ამ კითხ-
ვებს. სადა ესპანეთში ქართველთა
ნათესავი? ხომ იარეს იქ საბჭოთა
კავშირის დროსვე ქართველებმა.
წიგნები წერეს შოთა ძიძიგურმა
(*შოთა ძიძიგური*. მოგზაურო-
ბა ბასკეთში (1977 წლის ივლი-
ნი). თსუ-ს გამომც. 1977), ილია
ტაბაღუამ (ილია ტაბაღუა. ბას-
კები. ლექსები და ფაქტები.
თბ., „საბჭოთა საქართველო“.
1979) და სხვებმა. XX საუკუნის
70-იანი წლების მიწურულს და
80-იან წლების შუამდე პრესა-
სა და ტელევიზიაში ერთი ამბა-

შენ რაღა ხარ, ქართველო? დაგ-
ცარა დასავლეთიდან მოტანილმა
მოსახლარისა და საპამპულოს ნაი-
რობამ და დაკარგე მამული. შენ
ბასკსაც ებიძ-ემამიდები და ესპა-
ნელსაც? რად არ გინდა შეიგნო,
რომ სხვადასხვა ხალხია? იმად,
რომ არ წაგერთვას ლაყაფისა და
ფამილარობის შესაძლებლობა.
შეუძლებელია ბაქრაძეს ეს ყვე-
ლაფერი არ სცოდნოდა. ის ამაზე
არაფერს იტყვის. მისი ეს წინა-
სიტყვაობა ამ წლებში დაიწერა
როცა ერთი ამბავი იდგა ესპანე-
თის იბერიელებთან ნათესაობის
გამო. რუსების ჯიბრში დგომით
დაწერა ეს საცოდლობა და ილიო-
ტობა ბაქრაძემ. მისმა დათესილმა
დვარძლმა ნაყოფი მალე გამოიღო.
ეს ნაყოფი კი ისაა, რომ წიგნიერმა
ქართველებმა აიკვირეს ბიზან-
ტიზმის დამღუპველობა საქარ-
თველოსათვის და დაიჯერეს, რომ
ბიზანტია ხელს უშლიდა საქარ-
თველოს ევროპისკენ სწრაფვა-
ში. პოლიტიკურ ფეტიშად იქცა
ქართველთა შორის ეს ევროპა.
ახლა ასე დავაყენოთ საკითხი:
ესპანეთიდან აქ რად არვინ არას-
დროს ჩამოვიდა? ხომ უწყოდნენ
ესპანეთში, რომ კავკასიის სამხ-
რეთშიც არის იბერია? მსოფლიო
იმპერია იყო ესპანეთი XVII-XVII
საუკუნეებში, თავზე გადასდიოდა
დოვლათი. სადა არ შედიოდა
ესპანური ფლოტი და გამოეგზავნა
ესპანეთის სამეფო კარს ქართლის
სანახავად ელჩიონი. ვის როდის
გახსენებია?



რადგან რევოლუციური ეპოქა იყო
დაწვებული, მაგრამ კოლონიალი-
ტური რეჟიმი დამყარდებოდა. იმ
ევროპელმა ჩინეთისა და ინდოე-
თის კულტურები არ ითხო. შევიდა
და ტყავი გააძრო ჩინელსაც და
ინდოელსაც. ევროპელი იმ ქვეყ-
ნებში იყო მმარცხელი და მფლე-
ტელი. სულ არა წაგკითხავს რა
კოლონიალიზმის ისტორიიდან?
თუ გგონია რომ შენი სვეტიცხო-
ველი და ძველი ხელნაწერები მას
გულს აუწყვებდა და შეგეამხანა-
გებოდა, ბრევივი ხარ. ევროპელი
კოლონიალისტები არ მოშლიდნენ
ბაგრატიონთა მეფობას, მაგრამ
სამეფო კარს ყმად დაიყენებდ-
ნენ. ისინი დატოვებდნენ იმერე-
თის ტახტს, კახეთის ტახტს და
ქართლის ტახტს. ბრიტანელები
უფროვე გაამიზნებდნენ სამი
ტახტის ერთობისგან განკერ-
ძობას. ამის შემდეგ ქართველს
ცალკე თავისი ტომების მოკრება
და ნაციად ჩამოყალიბება ექნებო-
და სადარდებელი, ცალკე კომპ-
რადორული არისტოკრატისა და
მეფის ტახტის დამხობა საქარ-
თველოს მხარეებში, ცალკე კიდევ
ეროვნული ანტიკოლონიალისტუ-
რი მოძრაობის ორგანიზება. ამის
თავი ვინმეს ჰქონდა ქართველთა
შორის? რუსებმა ფეოდალიზმის
დროს ჩამყავებულ საქართველოს
ისტორიული ნახტომი აქნევინეს.
ჯერ ერთი, მათ ძალით გააერ-
თიანეს საქართველოს ტომები,
მეორეც ის, რომ მეფის ტახტის
გაუქმებით, ქართველს თავიდან
ააცილეს ანტიმონარქიზმისა და
მეფესთან ხანგრძლივი ბრძოლის
აუცილებლობა, რაც იყო ყველა
ევროპულ და ევროპეისტულ ქვე-
ყანაში. ვერე არაა, რომ შენ ევრო-
პეიზმი გინდა და ანტიმონარქიზმი
და ათეიზმი კი არ გინდა. ევრო-
პეიზმის ფუძე იყო ორი საუკუნის
წინ ათეიზმი და მონარქომაქია.
ევროპელები აქ რომ ყოფილიყ-
ვნენ, მერე ილია და აკაკი ბაგ-
რატიონთა მოსაყვინელ წიგნებს
დასწერდნენ და ტახტის დამხობას
ამოიჭრიდნენ გულში ყველა მათი
მოდასენი. უამრავი ანტიკლერიკა-
ლური წიგნი დაიწერებოდა. ამის
გარდა, გაჩნდებოდა რუსული

ორიენტაციის ქართველთა დასი,
რომელიც საქართველოდან ევრო-
პელთა ფეხის ამოკვეთას დაისა-
ხავდა მიზნად. იქნებოდა წერილი
ომები და მუდმივი კონფრონტაცია
პოლიტიკურ ჯგუფებს შორის. თუ
ფორდანიას დროს ქართლში არ
შემოვიდოდა ბოლშევიკი რუსი,
ის უთუოდ შემოვიდოდა ნაცის-
ტური გერმანიის დამარცხების
შემდეგ. ფორდანიას პოლიტიკას
მიუძღვის ბრალი იმაში, რომ აქ
წითელი არმია შემოვიდა. ნუ აბო-
გინებ აქ რუსეთის მომტერე ევრო-
პელ კოლონიალისტთა ჯარებს.
ხომ თავზე დაგეცა ეს დამოუკი-
დებლობა? გაჩერდი და შეიფერე,
ნელა მტრობ რუსეთს, ნუ ბუქნავ
სხვის დაკრულზე. ზემოთ ნახსენ-
ები ბრიტანელი დიპლომატი და
მოგზაური ოლიგერ უორდროპი
ბოლშევიკთაგან წოდებულ იქნა
ინგლისის რეზიდენტად ფორდა-
ნიას მთავრობაში, რასაც მიზე-
ზი ჰქონდა. უორდროპი მეორე
მსოფლიო ომის დამთავრებასაც
მოესწრო. ბრიტანეთი ლამობდა
საქართველოს თავის კოლონიად
და რუსეთის წინააღმდეგ მიმარ-
თულ პლაკდარმად ქცევას. ამას
რუსი არ მოითმენდა. ფორდანია
რომ არ აპყლოდა ბრიტანელებს
წაქეზებას რუსეთის წინააღ-
მდეგ, არ იქნებოდა 1921 წლის 25
თებერვლის ოკუპაცია და გაქცევა
საქართველოს მთავრობისა. საკა-
ცობრიო დიად იდეალებზე მოლა-
პარაკე და მავვირალი გაზეთების
გამომცემელი მთავრობა ჯაბანი
გამოღდა. არ ვარგოდა პოლიტი-
კოსად ეს ნოე ფორდანი. ფორდა-
ნიას მთავრობა იქცა მარიონეტად
ბრიტანელების ხელში. ვინ შემო-
დიოდა ქართლში, ვინ გადიოდა,
ადარ გაიგებოდა. იმ ჟამს მაგრად
აიმღვრა წყალი. ამდენი ქურდი
და მამაძალი მეტის მოპარვას
ლამობდა. აი ეს იყო ფორდანიას
დრო. გაქანებული ქურდობა იყო.
აიღოს მკითხველმა 1918-20 წლე-
ბის პრესა მინც, რათა დაინახოს
რა იყო მაშინ. ყველა დაწესებუ-
ლება მუქთამჭამლებით და არამ-
ზადებით გაივსო. მათ დაჭერას
ვედარ აუდიოდა მამინდელი შინა-
გან საქმეთა სამინისტრო. რისი

ნანატრი დამოუკიდებლობა? ვერე
სად იყო, ლიბერალ ისტორიკოსთა
დასი რომ ერეკება? ყოველივე ეს
არა აქვს გააზრებული არც ბაქრა-
ძეს, არც მის ეპიგონთა ლაშქარს.
ტყუილია ეს დაუსრულებელი
კრუსუნი რუსთა მიერ ბაგრატი-
ონთა ტახტის მოშლას და ქადი-
ლი მის აღდგენას. ამას იზამდა
ცუდი ისტორიკოსი, შევარდნაძის
მოდასე გურული, ფეთიანი ლეკან
სანიკიძე. ისტორიკოსი მამა-შვი-
ლი, ლეკან და გუბაზ სანიკიძეები
იყვნენ შევარდნაძეები ქართულ
ისტორიოგრაფიაში. არა, ტახტი
გენატრება, მეფე გინდა? წლო-
ბით ამაზე უბნობ? ჰოდა, აღად-
გინე ეს ტახტი, თუ ამისი თავი
გაქვს. ახლა ხომ თავისუფალი
ხარ და არვინ გიშლის ხელს.
რა არის ამდენი წელი ლაპარაკი
საქართველოს უგვირგვინო მეფე-
ზე, ერეკლე II-ს ძეთაგანზე ალექ-
სანდრე ბატონიშვილზე? თავისი
ძმებიც არ ედგნენ მას გვერდით.
ეს ერთი იბრძოდა თავგამებულ
რუსთა წინააღმდეგ მთელი თავისი
ცხოვრება. ერეკლეს ერთი ღუფინი
ვაყვებინა ერთი ალექსანდრე იყო
რუსეთის თავგანწირული მტერი,
მაგრამ პოლიტიკური სპეკულაცი-
ისათვის მისი სახელის გამოყენება
ახლანდელ მედასავლეთეთა მიერ,
მასზე დამაქრულ წიგნების წერა
არაა სწორი. რუსების ჯიბრით
ლაყობენ ამდენს მეფის მოყვანა-
ზე ქართველები. ისევე იმ ესპანეთის
ბაგრატიონებისკენ იშვერენ თითს.
თავადაც არ იციან, რა უნდათ, რა
ალაპარაკებთ. სულ ასე როგორ
არის? არა, არაა ქართველი ეს
ესპანელი ბაგრატიონი, მიუხედავად
იმისა, რომ ქართულად უბნობს.
არაა ამ ბედშავი ქვეყნის ჭირისუ-
ფალი ეს ხორხე ბაგრატიონი და
მოეშვი მის ხსენებას. აქეთ გამომ-
ხედავი არაა ის და მისი ჯვალბობა.
ტურისტადაც არ ჩამოდის ქარ-
თლში. სხვა რაღა გინდა?



ვი იყო ესპანეთისა და ბასკეთის
გამო. ცკ-ს მდივანი შევარდნაძეც
იყო ესპანეთს ჩასული და ამაზეც
გამოვიდა დიდიბრავიანი წიგნი. ეს
მოჩვენებითი სიხალისე ბასკებისა
და ესპანელების ქართველებთან
ნათესაობის გამო 80-იან წლებშივე
მიივიწყეს, რადგან არვინ უგდო
ყური ქართველებს არც ესპანეთში,
არც მის ერთ-ერთ მხარეში- სეპა-
რატისტულ ბასკეთში. ერთობითი
ილაღვიან მრავალი წელია ესპა-
ნელები და ბასკები. ტერორის-
ტულად იბრძვიან ბასკები ათე-
ულობით წელი, უამრავი ესპანე-
ლი მოკლეს. კაუდილიო ფრანკომ
(1892-1975) დასაჯა ბასკები სეპა-
რატისმისათვის. ბასკური ტერო-
რიზმი ესპანეთისგან განცალკეე-
ბას ისახავს მიზნად. ასეთი დონის
ნაციონალიზმი ბასკებში და მას
ვერ დაანელებს გლობალიზაცია.

ვთქვათ, ევლოთ ბაგრატიონ-
თა მახვეწარებს ევროპაში XVII
საუკუნეში, როგორც მათ რუსეთ-
ში უეღლიათ. აქ რომ მოვიდოდა
ევროპელი, ეგრევე კათოლიკუ-
რად მონათლვას მოითხოვდა და
გეტყვოდა: ევროპელი თუ ხარ და
ევროპელები კათოლიკენი არიან.
იეზუიტთა ორდენიდან მოვიდოდ-
ნენ ქართლში და სულ რუსეთის
წინააღმდეგ ზაკვა და ლაღვა
იქნებოდა. ასე იყო პოლონეთში,
დასავლეთ უკრაინაში. ან პრო-
ტესტანტი მისიონერი მოვიდოდა
და ქართველთა ტომების ნაწილი
კათოლიკე იქნებოდა, ნაწილი კი
პროტესტანტი. არ იზრუნებდა
ევროპელი იმაზე, რომ საქართვე-
ლოს ტომები ნაციად გარდაექმნა.
ვთქვათ, ევროპელები აქ მოსულიყ-
ვნენ XIX საუკუნეში და გადანათ-
ლვას ეგრე აღარ მოითხოვდნენ,

(გაბრძემლა იმნება)

უნგრეთი. ბუდაპეშტი. 2019 წლის ზაფხული.

- ალო, ზურაბ, ჩამოვედი, სად უნდა გზავნი?
- რომელი ხარ?
- ნიკა ვარ, გვარამია, შე ჩემი!
- აა... პოო... კამერით ჩამოხვედი?
- პო, აბა, ხომ მითხარი, ინტერვიუს მოგცემო?
- ნიკა, ხომ არავინ აგევა?
- ნუ, ეხლა, რა ვიცი, თუ არ ჩავთვლით ბიძინას, სხვა ვერავინ შევამჩნიე!
- ხომ იცი, ბიჭო, ყველაზე მეტად ტელეკამერებისა და თვალთვალისა მეშინია, ცუდად ვხდები... სხვა რაღაცებისა მეშინია, მაგრამ მაგაზე მეტი გეტყვი. მოკლედ, აეროპორტიდან რომ გამოვხვალ, ტაქსით მარჯვნივ დაუყვები, მერე მარცხნივ გადმოუხვევ, ნახევარ კილომეტრში ორღობეს დაინახავ, ცოტა ცუდი გზაა, მაგრამ უნდა გაუძლო.

კალედა. ისევე ატარებს ექიმებთან, ისევე ჩაუტარებს ათასნობრივ გამოკვლევას, მაგრამ ამაოდ. კონსილიუმის ერთ-ერთმა წევრმა ისიც კი თქვა, ამ ბიჭს თვალ-ყური ადევნეთ, შემთხვევით ხელისუფლებაში არ მოხვდეს, თორემ ცოდვის კალოს დაატრიალებს - ადამიანები, რომლებსაც უწყინარი ფრინველების, ცხოველების, მოვლენებისა თუ ნივთების ემინათ, კაბინეტებში იკეტებიან და ათასნობრივ ბინძურ გეგმას ადგენენო. დიას, დიას, სწორედ რომ ასეაო, მიუგო ერთ-ერთმა კოლეგამ, მაგალითად, ადოლფ ჰიტლერს საკუთარი კუილისა ემინოდაო. ისე, ძალიან საინტერესოა, ამ ბიჭსაც იგივე სენი

ლურ პროკურორს, ნიკა.

- კონკრეტულად რა ცოდვებს გულისხმობ, ზურაბ?
- თითქმის ყველა ღირსება და ყველა ნაკლი ჩემი ხალხის მიტარება. ვაჟკაციც ვიყავი და შმიშარაც, პუტინს ვებრძოდი და მეშინოდა ჩიტებისა... გულზეა დიდი ვიყავი, მაგრამ ჩიტებისა მეშინოდა, ჩემი უბედურება ამჟამადაც ეგაა.
- პოდა, იმას ვამბობდი... ჩვენში მოლაღატენი სჭარბობდნენ ერთგულებს, განა თუ სხვისი, საკუთარი თავის, თავის ხალხის მოლაღატენი, კარგად ვიცი, თვით ჩემს გარემოცვაში ნახევარი რუსებსა ჰყავდათ შესყიდული, ნახევარი ივანიშვილს.



ჩიტები ჯოჯოხეთიდან

პოლიტიკური ნოველა. დანერვილია რეალურ ფაქტებზე დაყრდნობით



- ბიძინას ვუძღვებ, შე ჩემი, გზას ვერ გაუძლებ?
- პოდა, ორღობე რომ ჩამთავრდება, ვაკიანზე გამოხვალ და აქვე ვარ, რა. პო, უკან მაინც ხშირად იყურე, არავინ აგეკიდოს.
- მე უკვე ყველაფერი მკიდა!
- მე კიდევ მეშინია, ვერ გაიგე?!
- ეტყობა, შენ სიკვდილის შიშში ჯერ არ გადაგიღალხავს... აი, მე შარშანწინ გადავლახე, ივანიშვილს უნდა მოვეკალი, ვერ მოძულა და ეხლა ფეხებზე მკიდა სულიც, ხორციც და ჯოჯოხეთიც!
- ზურაბმა ტელეფონი გათიშა. უნდა მოეშვალოს. ბავშვობიდანვე ვერ იტანდა ტელეფონს და რადიოს, გაზეთის დანახვაზეც კი ალერგია ემართებოდა, სადებავის სუნზე ისტერიკაში ვარდებოდა. სად არ ატარებს მშობლებმა, რომელ ცნობილ ექიმს არ მიმართეს, ასე და ასეა ჩვენი საქმე, ბიჭი ხელიდან გვეცლებაო, თუმცა პროფესორებმა ვერაფერი დაუდგინეს. მშობლებს მხოლოდ იმით ამშვიდებდნენ, ნუ გეშინიათ, შეიძლება ცხოვრების რაღაც ეტაპზე ხელიდან წავიდეს, მაგრამ ხელიდან არ გამოგეცლებაო. გადიოდა დრო, ზურაბი დროსთან შესაბამისი ტემპით არა, მაგრამ მაინც იზრდებოდა, ოღონდ ჩაკეტილ სივრცეში - ერთ დღეს დედამ ისიც აღმოაჩინა, რომ ბავშვს ჩიტებისა ემინოდა. მაშინ, როცა უბნის ბაღები ბედურებს შურდულებით დასდევდნენ, ზურაბი "კუშუტკის" ქვეშ იმალებოდა და მთელი არსებით კან-



როცა ხალხს ამდენი მოლაღატე შინა ჰყავს, სააკაშვილიც ვერ გაამარჯვებინებს მას. თუ მთელმა ერმა გამარჯვება არ მოინდომა, მერაბიშვილიც ვერ უშველის, ნიკა, რადგან ჯერ არსად გაუმარჯვნიათ შმიშარებსა და მსტოვრებს. სიყრმე და სიჭაბუკე საქართველოს შევალეო, მაგრამ ქართლები ჰარი პოტერს მემახდნენ, ხოლო აფხაზები - თხუნელას მიწოდებდნენ. დამანელა მერაბიშვილისა და ახალაიების კინკლაობამ, ნიკა, ჩვენში ყოველ ნაბიჭვარს დიდი თანამდებობა სწყურია, ყოველ ნაცარქექიას - სარდლობა. მუდამ რუსებს ეგებოდნენ ფეხქვეშ ჩვენი სულელი თანამებრძოლები და ღორმუცელა პარლამენტარები. მცირე ხანს დადუმდა ზურაბი, თვალები დახუჭა, უცნაურად დაემანჯა სახე. სახეზე მკვდრი სფერი დაედო.

- შენ რომ მერაბიშვილის ად-

ჩიტი რომ გადაგიფერეს და თან დაგასკლინტებს.

- სკლინტი კი არა, ყველამდე მძღნერში ვართ, ზურაბ, მძღნერში!
- რა ვქნა, მე სკლინტისა უფრო მეშინია... კიდევ ნემსისა მეშინია, ბიჭო.
- გეუბნები, მე ჩავიბარებ ყველას კაპიტულაციას, მე გავხდები ლიდერი ამ ქვეყნის, მე ვიტყვი მამა საქართველოსი, ვინც დღევანდელ წინააღმდეგება, ყველას ჩავაღებო ციხეში. სექტემბრიდან ქუჩებში გამოვიყვან მილიონობით პატრიოტს, ბიძინა ივანიშვილი, რასაკვირველია, ჩავგანახებ სისხლში, მაგრამ ჩვენ მაინც გავიმარჯვებთ და მას გაასამართლებს საერთაშორისო ტრიბუნალი კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულისთვის. მეტსაც გეტყვი, ზურაბ, ივანიშვილი იმდენად დაუნდობელია, აუცილებლად გამოიყენებს ბირთვულ იარაღს, იყიდის ატომური ბომბს და ააფეთქებს რუსთაველის გამზარზე, სადაც ამ წუთებშიც დგას ასი ათასობით ახალგაზრდა პატრიოტი!
- ნიკა...
- არავითარი ნიკა, არავითარი ზურაბი, არავითარი მიშა, როცა მამული განსაცდელშია, ყველანი ქუჩაში!
- ნიკა...
- ნაბიჭვრები, მაგენი!
- ნიკა... იცი, ყველაზე მეტად ახლა რა მინდა?
- ვიცი, შენ ეხლა ყველაზე მეტად გინდა მოხარბული სიმინდი!
- ვერ გამოიცანი, სახლში მინდა.
- დარჩენილიყავი მერე, რას გამოიბოდი?
- ჩიტები, ნიკა, ჩიტები... ყვა-რელში ძალიან ბევრი ჩიტია.
- კაცო, შენ ჩიტებს გამოექეცი თუ ბიძინას?
- მე საკუთარ თავს გამოექეცი, ნიკა, სადაც მუდმივად ჩიტები ჭიკჭიკებენ... რაც ბიძინა მოვიდა პოლიტიკაში, უფრო მეტად აჭიკჭიკდნენ.
- პოდა, ამიტომაც ჩავიბარებ მის კაპიტულაციას!
- ეგ შენი საქმეა.
- ძალზედ საინტერესო ინტერვიუ დასრულდა. კადრს მიღმა კიდევ იყო საუბარი ჩიტებზე, კუილებზე, სისხლზე, შეცდომებზე და რაც მთავარია, გვარამიას თანმდევი შაკიკზე.

გელა ზაფხულიანი
555 48 48 61



ნიკო რახვიაშვილი – ლექსები

ბოლნისის სიონი

კრძალვით შევალ მე შენს ტაძრად,
წარსულს ფიქრში აუკუნებ,
შენს ხსოვნაში ჩაინაცრა
ბევრი ბნელი საუკუნე.
ზეცას ასდის ბოლი, სველი,
სივერაგე მძალავს ბედის,
აქ ხუთასი ბოლნისელი
რისხვად დახვდა ჯალალედინს.
მტერს ძალ-ღონის გაათებით
ხმალი ხმალზე შეუტოლეს,
შეუტოეს გააფთრებით,
ძარღვი შიშით შეუთრთოლეს.
მზე მიადგა ხმლების პირებს,
გორდამ ელვად დაიკვესა,
ბევრს გულ-მკერდი გაუგმირეს,
ცას სწვდებოდა მათი კვნესა.
ლომურ მკლავით მტერი ლეწეს,
ვისაც მისწვდნენ, დაჰკრეს ტორი,
ხმლები ხმლებით მიულეწეს,
შეულეწეს ჯავშან-თორი.
შუბლი ოფლით დაეცვარათ,
გულზე სისხლი დაეღვარათ,
ურიცხვ სპასთან ნაომარნი
შენს მიწაში მიწვნენ წყნარად.
დადლილები სულის გზებით,
ერთად მიწვნენ, როგორც მშები,
სამამულო შურისგებით
დღესაც შფოთავს მათი ძვლები...
ფრმატ, ჭაბუკიც გახსოვს, საბა,
გრძობდი მგონის ხვედრს უძნელესს,
რა თვალხარბად დაეწაფა
შენს წარწერას უუძველესს.
მოგწვდა დიდი გულისძეგრა,
ახსოვს შენს ძველ კარიბჭეთა,
განბრძობილი მისი მხერა
რა სიხარულს განიჭებდა.

მეცხრე ცამდის აღწეულო,
ივერიის ბედისწერავ,
ქვემო ქართლში დარწეულო,
აკვანო და სიბრძნის კერავ!
გულს გვიკვერავ, სულს გვიკვერავ,
იბრძოლებ და იალმასებ,
კვართს რწმენისას შეგვიკვერავ,
სულსაც ლოცვით მიანაზებ.
ლექსით გლოცავ ბებერ სიონს,
ხარ ძველ წიგნთა თავფურცელი,
მტერი თუ კვლავ მოგესიოს,
ძველებურად გაუძელი.
შეიწირე ჩემი აზმა
და ზეციურ ბროლის სურით
მოგვასხურე აიაზმა,
აიაზმა, ბოლნისური.
შენი გზაც და ცაც ნათელობს
და შენც ლოცვად დადგე როცა,
არ მოაკლო საქართველოს
ღვთაებრივი შენი ლოცვა.
ხშირად დარდი წელში მდრეკავს,
მე — ბოლნელი, შენ — ბოლნისი,
შენი ძველი სისხლი რეკავს,
ძარღვში გრგვინავს ექო მისი.
ჟამის ცბიერ ქარაგმებით
იმზვევე და იარაგვე,
საბას ბრძნული არაკები
იქაც ჩამომიარაკე.
გარდამსახავს ახალ სახედ,
როცა ზეცა ცრემლის ცვარით,
ბოლნურ ჯვართით გადამსახე,
კურთხეულო, მეც პირჯვარი.
საბას ოქროს კალამი ხარ,
ზოგჯერ სევდით მონისლული,
საქართველოს ალაში ხარ,
ვარამი ხარ, ბოლნისური!..

ერის სულით ღვთაებრივით, ორი მძლავრი ბურჯით —
იწონებდა თავს ქართველი — კალმითა და ფუნჯით.

არც ამ მიწით, არც ამ ზეცით — ცისფერით და ლურჯით —
სასწორზე დევს საქართველო გამაძლარი კუჭით.

კაცისმკვლელთა მიტევებით, იდეებით მუნჯით,
სხვის ჯიბიდან უსირცხვიოდ მონახვეჭი უნჯით —

იცვლებოდნენ მთავრობები, ოქროს ცვლიდნენ თუჯზე,
დაიკიდეს ერის ბედი, ფეხებზე და კუჭზე.

ნოყიერი სალაფავით და ოცნებით ფუჭით,
აზროვნებდნენ არა თავით — გამაძლარი კუჭით.

ტრიალებდა ბედის ჩარხი, ცა იწვოდა ალხით,
არც სამშობლო არ ახსოვდათ, არც ქართველი ხალხი...

ჟამთა დენას, რისხვას ზენას, თუ კვლავ გადაუვრჩით —
სამოთხეში შევალთ ყველა, ამოყორილ კუჭით...

ყაყანია ქუჩის, ბაზრის,
ბერის ნაცვლად ერი სწირავს,
ქვეყნის ბედის დედააზრი,
შინაარსმა შეიწირა.

შიგნით, გარეთ მტერი მიღრენს,
მგლური თვალით მაშტერდება,
ნუთუ მართლა ერის ციხე,
უზურაბოდ არ შენდება?!

არა თურქის, არა ლეკის,
არა სპარსის განალესი,
— ალგეთს აფშუვლებულ ლეკვის,
მომბჯენია დანა ყელში.

რახანია არ ნათელობს,
თუმცა დარი ნათელია,
გვაფიწვდება, საქართველო
ჩვენზე დიდი ქართველია!..

მშობლიური გასწვეთს სისხლი,
პაპისეულ ვადაჯვარიანს,
ჩემივ თავის მომკლავს ზიზღი,
ვიდრე მაჯას გადახსნიან.

ყაყანია ქუჩის, ბაზრის,
ბერის ნაცვლად ერი სწირავს,
ქვეყნის ბედის დედააზრი,
შინაარსმა შეიწირა!..



კასი შვილივე ბრუნვაში

კაც-ი ღვთიური გენით,
კაც -მა მზედ გაიოცნება,
კაც-ს ვემბ დიოგენივით,
კაც-ის დღესაც ჭირს მოძებნა.

კაც-ით ავით და ბოროტით,
თავს ვერ იმართლებ გამჩენთან,
კაც-ად ივარგე ბოლომდი,
კაც-ო, ამ არაკაცებთან!

ყურადღება!

ნიუ იორკის (აშშ) ბიბლიის შემსწავლელი ქართველოლოგიური ცენტრი: „ბიბლია და საქართველო“ 2019 წლის 14 სექტემბრიდან



აგრძელებს ბიბლიის შემსწავლელი ზოგად-საგანმანათლებლო ერთიანი კურსების ლექცია - სემინარებს. მეცადინეობები შესდგება საქართველოს პარლამენტთან არსებული, ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის აუდიტორიაში. ლექცია-სემინარების წამყვანია ნიუ იორკის ქართველოლოგიური ცენტრის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საზოგადოებრივი აკადემიის: „ქალღეა“-ს აკადემიკოსი, ქ-ნი დენიზა სუმბაძე. მსმენელთა რეგისტრაცია დაიწყება წინამდებარე განცხადების გამოქვეყნებისთანავე, ტელეფონით: 599 43-12-17.

გილოცვა



80 წლის იუბილეს ვულოცავთ შესანიშნავ პიროვნებას, კარგ ქართველს, საამშენებლო კომპანია „ივერიამშენ-პლიუსის“ გენერალურ დირექტორს, საქართველოს დამსახურებულ მშენებელს, საქართველოს არქიტექტორთა და მშენებელთა საინციკლოპედო-საგამომცემლო

ფონდის დამფუძნებელს და თავმჯდომარეს, საქართველოს არქიტექტორთა და მშენებელთა ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორის მოადგილეს, სრულიად საქართველოს საგვარეულოთა კავშირის „გვარი და გვარიშვილობის“ გამგეობის თავმჯდომარეს, ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის და ბიზნეს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს - აკადემიკოსს, საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტს ვაჟა ნადირაშვილს.

ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს, მხნეობას და ღვთისგან ბოძებულ ყოველგვარ სიკეთეს.

მამობრძე

ისრაელი - წმინდა მიწის მოუშორებელი მამია

ისეთ ისტორიებს ჰყვებოდნენ ისრაელის მესაზღვრეებზე, თბილისის აეროპორტიდანვე შიში დამყვა. პასპორტი კანკალით მივაწოდე ქართველ მესაზღვრე ქალს.

— ირანდა, ირანდა, — კითხულობს და იცინის — 25 წელია ვმუშაობ და ასეთი სახელი არ გამიგია. ლამაზი სახელია, თქვენ ძალიან გიხდებათ. მითხრა და პასპორტი დამიბრუნა.

მამინევი ცრურწმენამ გაიღვიძა ჩემში — რადგან პირველი დაბრკოლება მესაზღვრესთან სასიამოვნო გამუსაიფებით დამთავრდა, მოსალოდნელია, ისრაელის საზღვარზეც იოლად გადამატარონ-მეთქი...

თვითმფრინავში ჩემ გვერდით ერთი „იხროხინე“ ქართველი



მირაბ მიქაილი

ყაძახი ზის. ხენემის და აშკარად ეტყობა, წუნანდელი ნაბახუსევი რომაა. სასმელის სუნით აჭარხლებულია და რატომღაც ათასგვარ კითხვას მისვამს, სულ არ მაქვს მასთან ლაპარაკის სურვილი და განწყობა — ისრაელის საზღვარი მაქვს გადასაკვეთი, წმინდა მიწას ფეხი უნდა დაედავება, — უფალს მადლობა კიდევ ერთხელ ვუთხრა, ქართველ ებრაელებს მოვეფერო და ჩავეხუტო...

არა, მართლა გული მაქვს აჩქარებული. ფრენის მთელი ორი საათი ასეა — ცნობისმოყვარეობა, საოცრებათა მოლოდინი და უამრავი სხვა განცდა და შეგრძნება ერთმანეთს ცვლის — ჰერაკლეს გულივით ბათქაბუთქით მიცემს პატარა ადამიანურ მკერდში რაღაც...

ციდან გამოჩნდა ისრაელი. როგორც კინოებშია — თეთრი, ფუტკრის სკასავით მიჭიჭკნილი სახლები ზღვის სანაპიროებზე. წერილი ტრასები და ჭიანჭველებით სწრაფ-სწრაფად მოფუსფუსე ტრანსპორტი.

ფეხი დავადგი ისრაელის მიწაზე და მადლობასთან ერთად უფალს ერთადერთი რამე ვუთხარი, რაც მთელი სიხუსტით მხოლოდ მე და მან ვიცით...

თვითმფრინავიდან სულ, მგონი, 5-იოდე ქართველი ჩამოვედით.

უკვე ცოტანი მიდიან ისრაელში

სამუშაოდ, ისედაც ბევრს აბრუნებენ უკანო...

ქართველებს პირადობები ჩამოგვართვეს და დაახლოებით 10 წუთში ისევ უკან დაგვიბრუნეს.

ღიმილით გამაცვილა ისრაელისკენ შავტუხა ებრაელმა მესაზღვრე გოგონამ.

ვიცი, ვინც იქნებიან ჩემი მასპინძლები — ქართველი ებრაელები, რომლებიც დღემდე დაუღალავად იღვწიან ქართულ-ებრაული ურთიერთობის შესანარჩუნებლად და განსამტკიცებლად. შეიძლება ითქვას, თითოეული მათგანი დიპლომატი გახლავთ, როგორც უწოდებენ, სახალხო დიპლომატები, რომლებიც ერებს და ხალხებს შორის მჭიდრო კომუნიკაციის ყველაზე საიმედო და უტყუარი გარანტიები არიან.

ამ ორი ხალხის — ქართველების და ებრაელების დიპლომატიამ ხომ ურთიერთსიყვარულია, სიყვარულს მოსდევს პატივისცემა. პატივისცემაზე კი იგება ინტერესები, რომელიც არის სწორედ პოლიტიკა...

ჩვენი მთავრობის წარმომადგენლები ხშირად სტუმრობენ ისრაელის სახელმწიფოს. ჩვენ ერებს შორის კი მეკავშირედ და დულაბად ისრაელის ელჩი საქართველოში შაჰმთაი ცჰში გახლავთ — შესანიშნავი პიროვნება და დიპლომატი.

ბენ გურიონის აეროპორტის დარბაზში დამხვდა ორი საქებარი კაცი, ორი ებრაელი — რობერტ ადარი და მერაბ მიქაილი.

მირაბ მიქაილი ქართველთა ებრაული თემის პატივსაცემი და ღირსეული წარმომადგენელია.

მისი წყალობით მოეხვედია ჩემი ცხოვრების ნანატრ ადგილას, ყველა ქრისტიანის საოცნებო ტერიტორიაზე, ვალის მოსახდელად და მუხლის მოსადრეკად, ადამიანის მაცხოვრისა და შემქმნელის პატივსაცემად და ქართველ ებრაელთა ორგანიზაციის „გულთა კავშირის“ საქმიანობის გასაცნობად.

„ჩემი დევიზი ეს არის: ყველა ადამიანს ვცე პატივი, როგორც შემოძლია და რითაც შემოძლია. დამიფასებს თუ არა, ამაზე არასდროს ვფიქრობ“, — ამბობს ბატონი მერაბი, რომელიც 7 ენას თავისუფლად ფლობს. იცის ინგლისური, გერმანული, ივრითი, არაბული, რუსული, ქართული, შესანიშნავად ლაპარაკობს მეგრულად.

მირაბი მიქაილი (მიხელაშვილი — კ.) ჩემს სამგზავრო ჩანთას ხელს არ უშვებს თან ისე თბილად მელაპარაკება, თითქოს ასი წელია ერთმანეთს ვიცნობდით. მეკითხება ყველაფერს, ანტერესებს ქართული, თბილისური ამბები. თვითმხილველისგან, თორემ, ისე, ტექნიკურმა პროგრესმა იმდენად დააბატარავა დედამიწა, გაუგებ-

რი მსოფლიოს არც ერთ კუთხეში არაფერი არ რჩება.

რაც შემეხება მე, რომ იტყვიან, თვალები შუბლზე მაქვს, შუბლზეც მაქვს, მხარზეც, ზურგზეც, ცხვირზეც და ყველგან...

ბატონი რობერტი და ბატონი მერაბი კი ისე მიკრავენ გულში, თითქოს მთელი ცხოვრება მართლ ჩემს სტუმრობას ელოდნენ...

კაცმა რომ თქვას, ესაა ზრდილობა, კაცობა, ურთიერთპატივისცემა და ადამიანობაც: თუ რატომ და როგორ ჩნდება ეს გრძობა, განცდა და დამოკიდებულება, ამას ცოტა ქვევით მოგახსენებთ, ჯერ ერთად გავიაროთ ის საოცარი დრო, რაც მე ებრაელებთან ერთად გავიარე ისრაელის მიწაზე.

რობერტ ადარი, ეს ღირსეული ებრაელი და ღირსეული ქართველი ისრაელში, პირდაპირ სასწაული კაცია.

— მთელი ისრაელი თქვენ გესალმებათ, — მეუბნება და თვალბეჭეში ეშმაკუნები უცემციემს. თან ისე დამაჯერებლად ამბობს ამას, მე იქეთ-აქეთ ვიხედები, ეგება, მართლა ასეა და საღამო ვინმემ არ დამასწროს-მეთქი.

რობერტ ადარი, იგივე რობერტ აჯიაშვილი ქართველ ებრაელთა საქველმოქედო საზოგადოება „გულთა კავშირის“ პრეზიდენტია. ის გახლავთ საქართველოს მწერალთა კავშირის საპატიო წევრი, დავით აღმაშენებლის სახელობის აკადემიის საპატიო წევრი და პროფესორი, ისრაელის ქვეყანაში. საქართველოს მწერალთა კავშირის დესპანი კულტურის საკითხებში ქართულ-ებრაულ ურთიერთობებში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და დამსახურებისთვის რობერტ ადარი დაჯილდოებულია ორდენით — „ღირსეული ქართველი ებრაელი“, არის მფლობელი რუსთაველის საზოგადოების საპატიო სიგელის.

რობერტ ადარი ინიციატორი, რომ შეეხვედით ერთმანეთს — „გულთა კავშირის“ საპატიო წევრი



რობერტ ადარი და პაატა იოსებაშვილი



და საზოგადო მოღვაწე, დავიდ ბა-აზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმის ყოფილი თანამშრომლები: ამ მუზეუმის ყოფილი დირექტორი მწერალი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი შალვა ჭიჭუაშვილი, ჩემი ძველი ნაცნობი, უსაყვარლესი ადამიანი და პიროვნება, მწერალი და საზოგადო მოღვაწე ნუზარ ჯანაშვილი და მე.

საუბრისას პირველ სიტყვას, როგორც თემის ერთ-ერთ უხუცესს და ღრმად პატივსაცემ ადამიანს, ბატონ შალვას უთმობენ.

შალვა ჭიჭუაშვილი: „პირველ საუკუნეში მოღვაწეობდა კაცი, სახელად რაბინი ილევი, მან გაიმეორა და განაგრცო პოსტულატი: გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი. ამ განცდით ვიცხოვრე მთელი ცხოვრება და ამ შეგნებით გავზარდე შეილები.“

უახლოეს ხანებში გამოვა ჩემი წიგნი „ებრაული სიბრძნის წყარო“, ქართულ ენაზე.

როგორც იცით, — სკოლა, უნივერსიტეტი ქართულად დავამთავრე, ქართულად ვაზროვნებ, აქ, ისრაელში, ოჯახში, ქართულად ვლაპარაკობ, ჩემი, როგორც მეცნიერის, სამუშაო ენაც არის ქართული. წიგნის გამოცემის რედაქტირების პროცესი ძალიან მნიშვნელოვანი იყო. აი, ბატონი ნუზარ ჯანაშვილი და აწ გარდაცვლილი ქალბატონი ნანა ღამბარი არიან ამ წიგნის სარედაქციო საბჭოს წევრები.

შეიძლება მკითხველთა ფართო წრემ არ იცოდეს, რომ მე გამოცემული მაქვს „საქართველოს ებრაელთა ისტორია — ქართულ-ებრაული ურთიერთობანი“.

უდიდესი მოღვაწის — ტარი-

ელ ხანაშვილის არქივში რაც იყო, ყველაფერი მოვიძიე, ეს მასალები დავამუშავე და გამოვეცი 800-გვერდიანი წიგნი — ძალიან საინტერესო სახელმძღვანელო მკითხველთათვის. და ქართველი მეცნიერებისთვის, ზოგადად“.

ნუზარ ჯანაშვილი: „ისრაელი დღესდღეობით არაა დაინტერესებული სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული თანამემამულეების მიერ წამოღებული კულტურის შენარჩუნებით. ამ კუთხით ისრაელში ყვე-



ნუზარ ჯანაშვილი

ლას სრული თავისუფლება აქვს, ოღონდ სახელმწიფო ამაში არ ერევა. სახელმწიფოს პოზიცია ასეთია — ეს არის ისრაელის ქვეყანა, არ გვანტერესებს საიდან წამოხვედი და რა ჩამოიტანე. ჩვენ გვანტერესებს ებრაული კულტურის განვითარება.

რაც შეეხება საქართველოს, ცხოვრების დიდი ნაწილი საქართველოში გავატარე.

დღეს ისრაელში შეკრულია საქართველოდან წამოსულ ებრაელთა თემი, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მიკერძოებული ვიყით, როცა საქმე სახელმწიფოს ეხება. არც არჩვენებში და არც არსად სხვაგან, მხარს არ დავუჭერთ ქართველ ებრაელს იმის გამო, რომ ის საქართველოდანაა. პოლიტიკა სხვა რამეა. სახელმწიფო უფრო უფრო მნიშვნელოვანია, მიკერძოება ასეთ საკითხებში, ყოვლად დაუშვებელია“.

შალვა ჭიჭუაშვილი: „ჩვენ ვაპირებდით, შეგვექმნა ორგანიზაცია, რომელიც ისრაელში ქართველი ებრაელების ცხოვრების კვლევას აწარმოებდა, აბრამ მიქაილი იყო პარლამენტის დეპუტატი მაშინ, შეეხვედით მას და გავუზიარეთ ჩვენი სურვილი. მოეწონა ეს ინიციატივა ბატონ აბრამს. დავვეგმეთ შემდგომი შეხვედრა, რათა სამუშაო გვემეტი გაგვეცნო მისთვის, მაგრამ, სამწუხაროდ, ბატონ აბრამს მას შემდეგ ვეღარ შეეხვედით“.

ნუზარ ჯანაშვილი: „ჩვენ არ გვინდა საქართველოსთან კავშირები დაიკარგოს. ამიტომაც შეიქმნა ორგანიზაცია „გულთა კავშირი“. დიდი იმედი გვაქვს, რომ ორგანიზაცია მალე მიიღებს შემოწირულობებს, გარკვეულ თანხებს, რაც საშუალებას მოგვცემს, უფრო ინტენსიური და მყარი კავშირები დავამყაროთ და ძველი ურთიერთობები გავაძლიეროთ. მთავარი მიზანი ისაა, რომ ორგანიზაციამ საქველმოქმედო ხასიათი მიიღოს, რადგან ბევრია საქართველოდან წამოსული ებრაელი, რომელთაც დახმარება და გვერდში დგომა სჭირდება.“

რა თქმა უნდა, აუცილებელია წიგნების გამოცემა. ბატონმა შალვა ჟორდანიას დიდი შრომა გასწია ქართულ-ებრაული ურთიერთობების ისტორიის კვლევის საკითხებში და ამას მოვლა და შენარჩუნება სჭირდება. დღეს თუ არა ხვალ ებრაელები აუცილებლად მოძებნავენ ბატონი შალვას ნაშრო-

სუფრაზე მხოლოდ ქართული საჭმელებია. ქართულად შექმნილი ბადრიჯანი, ლობიო, მჭადი, ყველი, მწვანილი სადღეგრძელოებიც ქართული თანმიმდევრობით ისმება.

ამ სუფრაზე მე, ჩემი ნაღვანა-ამაგართ ვერ კიდევ პატარა ქართველი ვარ და უნდა ვაღიარო, თვალეებში ვუყურებ ამ ძვირფას ადამიანებს, სიკეთის მთესველ ხალხს — ადარების ოჯახს, დიდებულ მეცნიერს შალვა ჟორდანიას, შესანიშნავ მწერალს, საუკეთესო მოქართულეს ნუზარ ჯანაშვილს...

საუბარში ქალბატონი ღორა აღარი ერთვება.

ღორა აღარი: „სიმღერა რომ არის „ნახევარი ცხოვრების გზა გავლივ“, ასე გავლიე ნახევარი ცხოვრება საქართველოში, ორმოცი წლის ვიყავი, ისრაელში, რომ წამოვედი. ჯანმრთელობა აღარ მიწყოხს ხელს, თორემ სიამოვნებით ჩამოვიდოდი ხშირად საქართველოში.“

ჩემი მშობლები თბილისში რომ გადმოვიდნენ საცხოვრებლად, ბებია და ბაბუა სამტრედიისში დარჩნენ. ზაფხულობით ჩავდიოდით სოფელში. ბევრნი ვიყავით. მასხოვს, შემოვეხვეოდით ბებიას. ისმოდა ჩვენი ჟრიაბული, დავდევდით ძროხებს, ვთამაშობდით. არ მაინფიცია, ბებიას ჩემი გამომცხვარი კეცის მჭადის გემო, სირბილის დროს წაქცევა და ჩემი გადაყვლევილი მუხლები...

ყველაფერი წარსულში დარჩა. ის საქართველო მახსენდება ტკიბილი სიზმრებით, რომელიც მე, 90-იან წლებში მწარე კომპარმა შეცვალა — სამინემა ომმა, სისხლისღვრამ და სიღუბნებმა. კიდევ არ ვაპირებდით წამოსვლას, ჩვენს ოჯახს რომ არ შეხებოდნენ შეიარაღებული ბანდიტები და ჩვენი ყოფნა-არყოფნის საკითხი რომ არ დასმულიყო. თუმცა ჩვენი გული ისევე ეკუთვნის ისრაელს, როგორც საქართველოს. საქართვე-

არ ვიქნებოდი, პრეზიდენტად კვლავ პაატა იოსებაშვილი რომ დარჩენილიყო.

რაც შეეხება ორგანიზაციის საქმიანობას — მართალია გითხრათ, ცოტა რთულია ფულთან ურთიერთობა, მაგრამ ორგანიზაცია მის გარეშე ვერ იარსებებს. ჩვენი ხარჯები არ ყოფნის ჩვენი ორგანიზაციის ინტერესებს. გვინდა ბატონი შალვა ჟორდანიას შემოქმედების უკვდავსაყოფად, მისი ლექსების კრებული დავბეჭდოთ. საოცარი ლექსები აქვს ქალბატონი ნანა იგო უდიდესი განცდით უმღეროდა საქართველოს და ისრაელს, მეგობრობას და სიყვარულს, სიცოცხლეს და სიკეთეს. დიდი განძია ეს და არ გვინდა, რომ უკვალოდ გაქრეს და დაიკარგოს. 12 იანვარს აშლოდში ნანა დავარის საღამოს მოწოდებას ვგვეგვავთ. ის ჩვენი თემის სიამაყე იყო.

ყოველი თვის პირველ პარასკევს „გულთა კავშირის“ დამფუძნებლები ვიკრიბებით და გვემებს განვიხილავთ. მიგვაჩნია, რომ ის, რაც ჩვენი თემისთვის, ჩვენი ერისთვის მნიშვნელოვანია, არ უნდა დაიკარგოს. ეს არის ებრაელი ერის ისტორიის ნაწილი, ჩვენი ურთიერთობების ენციკლოპედია და ორი ერის ხასიათის პარმონიული შერწყმის მატიანე. ჩვენ ვგრძნობთ ამ პასუხისმგებლობას.

დღეს ჩვენი ორგანიზაციის მიზანია ფინანსური გაძლიერება, თორემ გვემებს შესანიშნავი გვაქვს. „გულთა კავშირი“ კულტურულ-საქველმოქმედო-სოციალურ პროექტებს განახორციელებს არა მხოლოდ ქართველი ებრაელებისთვის, არამედ ისრაელში მცხოვრები ქართველებისთვისაც. ეს ჩვენი ვალია, მაგრამ ვინ ვარ პირადად მე, რობერტ აღარი? მე ვარ ებრაელი, სარწმუნოებით, მაგრამ მენტალობით, უფრო, ქართველი. ქართულმა მიწამ გამზარდა და გამოიკვება. ქართულმა მიწამ ჩაიხუტა დედაჩემი. სარწმუნოებით ვარ ებრაელი, როგორც მუსულმანი, ან კათოლიკე, მაგრამ ვარ ქართველი. ასეთია რეალობა.

რაც ეხება „გულთა კავშირს“ და მის წევრებს. ორგანიზაცია უნდა გაფართოვდეს — აქ ბევრმა ქართველმა უნდა მოიყარონ თავი. ჩვენი ძალა ერთიანობაში და ერთად დგომაშია.

ნუზარ ჯანაშვილი: „ჩვენმა ორგანიზაციამ ახლახან უმასპინძლა მწერალთა კავშირის წარმომადგენლობას. მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს ქალბატონ მაყვალა გონაშვილს ისრაელი დავათვალიერებინეთ. ქალაქ აშლოდში მოვაწვევთ დიდი ღონისძიება. მწერალთა კავშირმა ღვაწლმოსილი ქართველი ებრაელები დააჯილდოვა.“

ნუზარ ჯანაშვილი

* * *

ახლა სულ აღარაფერი მენატრება, ახლა სულ აღარაფერი მინდა; მარტო ის ბუხარი მედარდება და შენი მოქსოვილი წინდა.

კედელზე - შარშანდელი კალენდარი, ნისლი, ჩამოსული მთიდან; ტახტი - ჩვენი ღამის ფათერაკი და ერთხელ ჩიტი რომ შემოფრინდა...

ახლა თუკი რამე მელანდება - შენი სიმორცხვე და კდუმა; ის გაფრენილი წლები მენანება და ისიც, რაც სიბერით კვდება.

განა აღარ მოვა აპრილები?... სიოც გაიჭრება ველად; მაგრამ მე ვედარაფერს დაგპირდები, ჩემო სიმშვიდე და ღელვა.

უკვე სხვა გაგვეება იმ ბილიცზე, სხვა ვაჭაი გაკისკისებს, ლელავ... ის წყაროც სხვა ჰანგზე ილიკლიკებს, სხვა ხმაზე იმრიალებს თელაც.

მეც სხვა კი არაფერი მენატრება, მეც სხვა კი არაფერი მინდა. ის ჩამქრალი ბუხარი მელანდება და შენი მოქსოვილი წინდა...

კედელზე - გაცრეცილი კალენდარი, ტიქაში ჩარჩენილი გემოწმიდა... ტახტი - ჩვენი ღამის ფათერაკი და ერთხელ, ჩიტი რომ შემოფრინდა.

შალვა ჟორდანიას: „ჩვენ აქ აქტიურად ვეშობით.“

მოზადებული გვაქვს წიგნი „საქართველოს ებრაელი მხატვრები“, ვამზადებთ კრებულს „ქართველ ებრაელთა მუსიკალური კულტურა“, მაგრამ, სახსრები არ გვაქვს. ჯერჯერობით უფულობა გვიშლის ხელს.“

ნუზარ ჯანაშვილი: „2017 წლის ზუსტად ამ დღეს (24 ივლისი — ი.კ.) დამიწერია პატარა შთაბეჭდილება, რომელიც ჩემს წიგნშიც მოხვდა და ახლა თქვენ მინდა წაგიკითხოთ: „ჩვენ ერთი მიწის გულიდან ამოზრდილი ერთი ფესვი, ერთ ენაზე მოაზროვნე, ერთი ერისა და ხასიათის დიდი და ჯერ არგაუშიფრავი ისტორიის ანალებს ჩაფრენილი მაღალი და უძველესი კულტურის ერის შვილები ვართ. ამიტომაცაა ჩვენი დაცვილება ფესვს რომ სტკივა. ენა რომ ბრვეილობს. ერს და ხასიათს ეტყობა და როგორც მარადიული სინედლე. ცრემლს ვერ იკავებს შუაზე გადატეხილი ტოტივით. ასევე ეს ორი მონათესავე გული ძალუძდა იწყებს ძეგრას ყოველი შეხვედრისას, მოფერებისას და მოსიყვარულებისას, განიცდის რა დიდი ხნის უნაზავი დედამამიშვილივით მიფუჩებულს და არა მიფუჩებულს ზვავს სიხარულისას, ცრემლს მონატრებისას, ტკივილს განშორებისას.“

ჩვენ კიდევ არ ვიცით, რას ვკარგავთ.

ეს არის ჩვენი ურთიერთობის ქვაკუთხედი, რომელსაც მუდმივად უნდა ვეფერებოდეთ.“

ირანდა კალანდამი 593 56 1118 საქართველო-ისრაელი (ზაზარკმლვა იმნება)



პაატა იოსებაშვილი, ნანა ღორა, შალვა ჟორდანიას და რობერტ აღარი

მებს. ეს არის არა მხოლოდ ორ ერს შორის ურთიერთობის ისტორია, არამედ ებრაელთა ისტორია, რომელიც ამბობს, რომ ებრაელები არა მხოლოდ ვაჭრები იყვნენ, არამედ ქმნიდნენ ისტორიას, ურთიერთობების ახალ ებრაულ-ქართულ კოდებს, რომელიც უნდა ითქვას, რომ უნიკალურია და სამაგალითო“.

სამაგალითოა ადარების ოჯახი ქალაქ ხელონში. ბატონი რობერტ აღარი — რობერტ აჯიანაშვილი და მისი მეუღლე ღორა აღარი შესანიშნავი მასპინძლები არიან.

ჩვენ ქართულ-ებრაული ოჯახი გვაქვს და დღემდე ქართული ტრადიციებით და ცხოვრების წესით ვცხოვრობთ, რაც ხელს არ გვიშლის იმაში, რომ წმინდად დავიცვათ ებრაული წესი და რწმენა.

კულაშში დავიბადე. 5 წლის ვიყავი თბილისში რომ გადავედი საცხოვრებლად.

ბავშვობა და ყმაწვილობა არის მთელი ცხოვრების შთაბეჭდილება, საიდანაც ადამიანი ვერასდროს ვერ გამოდის. ჩემი ყველაზე დიდი შთაბეჭდილებაა სკოლის წლები და ბავშვობა.

ლოს სატკივარი ჩვენი ტკივილია, საქართველოს სიხარული — ჩვენი სიხარული“.


რობერტ აღარი, „გულთა კავშირის“ პრეზიდენტი: „ჩვენს თემს ახლახან გამოაკლდა ქალბატონი ნანა დავარი — შესანიშნავი პიროვნება. ის აშლოდში ცხოვრობდა. ერთ დღეს სახლში დავაკატიფა მე, ბატონი ნუზარ (ჯანაშვილი — ი.კ.), ბატონი შალვა (წიწუაშვილი — ი.კ.) და ბატონი პაატა (იოსებაშვილი — ი.კ.) ფინჯან ჩაიზე, შინდის მურაბით. მუსიკაში ვიყავით გართული, როცა ამერიკიდან დარეკა ისაბ პრინსმა, არაჩვეულებრივმა ადამიანმა, ქართული ენისა და კულტურის დიდმა ქომავლა იქაც, ოკეანის გაღმაც, და რომ მოგვიკითხა, ჩვენ ხუმრობით ვუთხარით — ექმნით პარტიას-თქო. ხუმრობა-ხუმრობაში მივედი იმ დასკვნამდე, რომ კარგი იქნებოდა, თუ ჩამოვყალიბებდით ორგანიზაციას, დავდექით ამოცანის წინაშე. რა დავარქვით ორგანიზაციას? ბატონმა ისაბამ თვითონ. მოგვაწოდა იდეა — რასან ერთად ხართ და ერთნაირად გიმტკერთ გული, დაარქვით ორგანიზაციას „გულთა კავშირი“. მოკლედ, ორგანიზაციის ნათლია არის ისაბ პრინსი. იმხანადვე დავნიშნეთ პრეზიდენტი, მაგრამ მოვილაპარაკეთ, რომ შემდეგი პრეზიდენტი არჩევითი იქნებოდა. წელს მე ამირჩიეს, თუმცა წინააღმდეგი

ჩემო თბილისო

ჩემო თბილისო, მწარე დროებამ სულიერად გამანადგურა... გემუდარები: „თითქოს გავგეჟე“ - არ დამამარალო, გთხოვ შეიბრალო შენს კალთაში გაზრდილი ბავშვი, პატარობიდან რომ უყვარდა შენი სამყარო! მე ჩემმა ბედმა აქომამდე მახეტიალა. შენზე ფიქრებში მოვიარე ზღვები, მთა-ბარი. ახლა კი ვზიდავ დაცილებას მძიმე ჯვარით, ვერსად ვერ ვპოვე შენისთანა თავშესაფარი! სანთლებს დავუწებებ მე შენს წარსულს, ჩემო თბილისო, ვერ დავივიწყებ მე შენს წარსულს გულში რომ დამრჩა, წარსულს მიხატავს მოგონება თანაცხოვრების, დავრჩი უგულოდ, მქონდა იგი და შენთან დამრჩა!.. ახლა უშენოდ, აქეთ-იქეთ ცოდვებს დავათრევ, შენზე ვლოცულობ, პატიებას შენგან მოველი, ღმერთო ნუ მომკლავ, ერთხელაც რომ არ ჩამახუტო ჩემი თბილისი — ჩემი სულის სვეტიცხოველი!

რობერტ აღარი

გაცხადებული სპეციალური ანუ შეთქმულება კასოპრიოზის წინააღმდეგ



ჯონ ო'სალივანო

საფრანგეთის ადმინისტრაციის ეროვნული სკოლის კურსდამთავრებული, ყოფილი პოლიტიკოსი და ამჟამად საზოგადო მოღვაწე, მრავალი კვლევის და წიგნის ავტორი მიშელ ჯეფროი პიროვნების თვითმყოფადობის თანამედროვე მამაა. მან გასულ წელს გამოაქვეყნა საინტერესო, დასაბუთებული ღრმა ანალიზი მსოფლიო პოლიტიკური და გეოპოლიტიკური ვითარების შესახებ „სუპერკლასი ხალხების წინააღმდეგ“ ნაშრომში იგი წერს - მსოფლიო სუპერკლასი არის ყველა ქალი და კაცი ყველა კონტინენტიდან, რომლებიც უფრო ახლოს გრძნობენ ერთმანეთთან თავს, ვიდრე საკუთარ ხალხთან. ისინი სარგებლობენ ერთი და იმავე აეროპორტებით, სასტუმროებით, ტრენდული ადგილებით, მაგრამ უგულვებელყოფენ „საკუთარ ხალხს“ მსოფლიო სუპერკლასები არის კონცენტრული წრეების სერია. წრის ცენტრში, რამდენიმე ათასი კაცი მონაწილეობს დიდ საერთაშორისო კონფერენციებში, როგორცაცა და დავოსი და ბილდერბერგი. ისინი ასევე გვხვდებიან ძალიან შერჩეულ ეროვნულ კლუბებში, როგორცაცაა Le Siecle an French American Foundation. ეს არის „დავოსკრატი სოროსკატისთან“. რა არის ეს მსოფლიო სუპერკლასი რომელიც ჩვენ გემართავს? მსოფლიო სუპერკლასი არაა ავადმყოფი გონების ბოძვა ესაა ნამდვილად არსებული რამ და მან ხელისუფლება აიღო დასავლეთში, განსაკუთრებით დასავლეთ ევროპაში. ისაა მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მფლობელი, ის აფინანსებს კულტურულ მიკროკოსმს, არასამთავრობო ორგანიზაციებს და ზეწოლის ჯგუფებს. ის ყველაზე ატარებს ამომრჩეველთა, ხალხის ნების საწინააღმდეგო პოლიტიკას. საფრანგეთში 2017 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს მსოფლიო სუპერკლასმა მოახერხა თავისი კანდიდატი ემანუელ მაკრონის გაყვანა საფრანგეთის პრეზიდენტად. მსოფლიო სუპერკლასი არის ეკონომიკის და ფინანსების უსაზღვრო ბატონობა საზოგადოებაზე და პოლიტიკურ სუვერენიტეტზე ასეა მეოცე საუკუნის ბოლოდან. მსოფლიო სუპერკლასი

აერთიანებს სუპერმდიდრებს რომელთაც მუდამ უნდათ უფრო და უფრო გამდიდრება განსაკუთრებით ეკონომიკური და ფინანსური დერეგულაციის, მათ სასარგებლოდ საგადასახადო კანონების შეცვლის და ბოლოს „მდიდართა სოციალიზმის“ მეშვეობით. „მდიდრების სოციალიზმი“ არის თავისუფალი ვაჭრობის პოლიტიკათა გატარების ხარჯის დაკისრება ხალხისთვის მაშინ როდესაც მოგება მიდის მართო ოლიგარქიას. სუპერკლასი განსახიერებს ფულის განუყოფელ ბატონობას, ადამიანების გადაქცევას სუპერმდიდართა მიერ გამოსაყენებელ რესურსად. ამიტომ ვერ მიუჩნებ თავის ადგილს მსოფლიო სუპერკლასს თუ კი არ მოხდება მსოფლიო ეკონომიკის და ფინანსების რეგულირება მსოფლიო სუპერკლასი ასევე განსახიერებს ძველი ესქატოლოგიის დაბრუნებას: ესაა მესიის, ქრისტეს დაბრუნების დაუცდელად და მის გარეშე საკუთარი ძალებით დედამიწაზე სამთხის აგების და კაცობრიობის გაერთიანების ერთ-ერთი პრეტენზია. ეს პრეტენზია თავის დროზე აიტაცა პროტესტანტულმა მესიანებმა და მისმა ანგლო-საქსურმა ვარიანტმა „გაცხადებული ხეველი“-ს ესქატოლოგიამ დააფუძნა მსოფლიო სუპერკლასის კოსმოპოლიტური თუ მონდიალისტური პროექტი მსოფლიო სუპერკლასი თვლის, რომ ისაა რჩეული ამ პროექტის განსახორციელებლად. გაცხადებული ხეველი, ამერიკული იმპერიული პროგრამა. ჟურნალისტმა ჯონ ო'სალივანმა ნიუ იორკში მეწარმეებს და აშშ-ს მეთერთმეტე პრეზიდენტ ჯეიმს პოლკს წარუდგინა გაცხადებული ხეველის პროგრამა: „ამერიკელმა ერმა ღვთაებრივი განგებისგან მიიღო გაცხადებული ხეველი, მან უნდა დაიპყროს ამერიკის მთელი კონტინენტი რათა იქ კვებოს და განავითაროს თავისუფლება და დემოკრატია. შემდეგ ამერიკელმა ერმა პროგრესის სინათლე უნდა გაავრცელოს მთელ მსოფლიოზე და უნდა იკისროს მსოფლიოს ლიდერის როლის შესრულება იმიტომ, რომ ამერიკელი ერი ერთადერთი თავისუფალი ერია დედამიწაზე“ ამის გაგონება მსმენელები ენთუზიანებით აღავსო. რა-

მოდენიმე თვის შემდეგ ჯეიმს პოლკმა ამ „ღვთაებრივ მისიაზე“ დაყრდნობით გაამართლა ლაშქრობა „ველური ინდიელებით“ დასახლებული დასავლეთის დასაპყრობად და ობსკურანტიზმი პაპისტი კათოლიკეებით დასახლებულ მექსიკაზე თავდასხმა. აღნიშნული პროგრამა დღესაც არის აშშ-ს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი ქვეკუთხედი. გამოთქმა „გაცხადებული ხეველი“ პირველად გაჩნდა 1845 წელს ნიუ იორკელი ჟურნალისტი ჯონ ო'სალივანის წერილში რომელიც გაზეთში გამოქვეყნდა იგი აშშ-სგან მოითხოვდა ტენასის რესპუბლიკის ანექსიას რადგან აღმოსავლეთი სანაპიროს ანგლო-საქსებს აქვთ მთელი ჩრდილოეთი ამერიკის დაპყრობის ღვთაებრივი უფლება. იგი წერილში აღნიშნავდა, რომ „განგებამ გვარგუნა გაცხადებული ხეველი რათა გავიშალოთ კონტინენტზე ჩვენი შხარდი სიმრავლის თავისუფლად განვითარების უზრუნველსაყოფად“ აშშ-ს გაცხადებულ ხეველს კონტინენტის ხელახლა დასახლება და იქ მისი ინსტიტუტების დამკვიდრება იმიტომ რომ ეს ინსტიტუტები უკეთესია, ჯობია ევროპიდან მოსულ ინსტიტუტებს. „გაცხადებული ხეველი“ ამერიკელებისთვის. არის. შესასრულებელი მისია, ექსპანსიის ერთგვარი მისტიკა რომელიც კულტურულად და პოლიტიკურად თავის კვალს დაამჩნევს აშშ-ს. ამავე წლის ორ დეკემბერს აშშ-ს პრეზიდენტმა პოლკმა კონგრესს განუცხადა, რომ დოქტრინა უნდა განხორციელდეს უშედავათოდ, რომ აშშ უნდა განივრცოს დასავლეთისკენ და მივიდეს წყნარ ოკეანემდე. ამერიკის ეს მისტიკური ექსპანსიონისური პროგრამა ძირითადად შესრულდა 1840-ან წლებში როდესაც აშშ-ს ეროვნული ტერიტორია გაიზარდა სამოც პროცენტზე მეტით, 1,2 მილიონი კვადრატული კილომეტრით. ეს ექსპანსია იმდენად სწრაფი იყო რომ ამერიკელებმა ეს მიიღეს სალივანის წინასწარმეტყველების აღსრულებად, მათი ერის ღვთაებრივი მოწოდების აღსრულებად ანუ მისტიკური ქსპანსიონიზმის სხვადასხვა გამოვლინება ავლენდა ამერიკული იდეოლოგიის ღრმა ტენდენციებს ღვთაებრივი მისიის.

შემსრულებელი მესიანობა, მაგრამ მისი განსრულება და აშშ-ს რეალიზაცია თანამედროვე ფორმით ასევე განაპირობა ეკონომიკური და სოციალური მიზეზების სერიამაც. „გაცხადებული ხეველი“ ამბიცია აქვს დღევანდელ მსოფლიო სუპერკლასსაც. ეს პროექტი ნამდვილად არის შეთქმულება ადამიანის თავისუფლების, სუვერენიტეტის და ადამიანობის წინააღმდეგ ვინაიდან მსოფლიო მთავრობა გზას გაუხსნის ოლიგარქიის. მსოფლიო დიქტატურას და არა „პლანეტარულ დემოკრატიას“ სუპერკლასი სხვებს აბრუნებს შეთქმულებების მოწყობას რათა უკეთესად შეინიღოს მსოფლიო სუპერკლასი სოციალური კლასია: ესაა ტრანსნაციონალური, ტრანსნაციონალური ოლიგარქია რომლის წევრებიც გვანან ერთმანეთს მათ აღარაფერი საერთო არა აქვთ ქვეყნებთან და ხალხებთან საიდანაჯე მოდიან ეს ხალხი თვლის, რომ ყველაზე განათლებული და აღმატებულია და ამიტომ აქვს სხვებისთვის ბედნიერებაზე საკუთარი წარმოდგენის დაძალების უფლება. მსოფლიო სუპერკლასი შეესაბამება დავოსის პარტიას: ეს ხალხი ყოველ წელს იკრიბება დავოსის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე. შეკრებილები იზიარებენ ლიბერალურ ლიბერტარულ მსოფლმხედველობას რომლის მიღებასაც აძალებენ მთავრობებს. მსოფლიო სუპერკლასმა დასავლეთში ხელისუფლება აიღო მეოცე საუკუნეში მომხდარი სამი ისტორიული ცვლილების. წყალობით: გამოიკვეთა ანგლო-საქსური ზეძლიერება, დას-

რულდა სოციალიზმი და კომუნიზმი. ბოლოს, ხდება ეკონომიკის გლობალიზაცია. სუპერმდიდართა მსოფლიო სუპერკლასი განსაკუთრებით გაახარა სოციალიზმის და კომუნიზმის დამხობამ. ამ კლასს აღარ ეშინია იმისა, რომ დასავლეთში შეიძლება მოხდეს რევოლუცია რომელიც დაემუქრება მათ პრივილეგიებს და ინტერესებს: მსოფლიო სუპერკლასი ფიქრობს რომ მიგრაციით, დელოკალიზაციით და ხელოვნური ინტელექტით შეიძლება ხალხების შეცვლას და შემდეგ ხალხების გარეშე არსებობას (უკვე ბევრგან ადამიანებს ცვლიან რობოტებით თუ კიბორცებით) ანგლო-საქს მილიარდერებს მუდამ პქონდათ პრეტენზია მსოფლიოს მართვაზე, მაგრამ მეოცე საუკუნის ბოლოს დაიჯერეს რომ მათ ამიერიდან აქვთ მსოფლიოს მართვის შესაძლებლობა. მსოფლიო სუპერკლასი ფუნქციონირებს ოთხი წრის ენერჯიაში მოყვანით: ეს წრეებია ტრანსნაციონალური, ფინანსური და ეკონომიკური სიმდიდრის წრე, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და კულტურის წრე, არასამთავრობო ორგანიზაციათა და სამოქალაქო საზოგადოების წრე, და ბოლოს საჯარო, სახელმწიფო ელიტების წრე. ტრანსნაციონალური ფინანსური და ეკონომიკური სიმდიდრის წრეშია ყველაზე მეტად კონცენტრირებული ძალა. ისაა ყველაზე გაუმჭვირვალე წრე, ის ყიდულობს ყველა დანარჩენ წრეს და გავლენას ახდენს ყველა დანარჩენ წრეზე. პირველ წრეში, სულ რამოდენიმე ათასი კაცია, მაგრამ დანარჩენ წრეებში გაცილებით მეტია განსაკუთრებით იმიტომ, რომ მათში ბევრი სასარგებლო იდიოტია. მსოფლიო სუპერკლასი არის იმპერსონალური, განუსახიერებელი და კოლეგიალური, მას მოუხელთებელი ხელისუფლება. მსოფლიო სუპერკლასი ოლიგარქიაა და არა ელიტა მას მუდამ ურჩევნია სხვებზე გავლენის მოხდენა და არა პერსონალური უშუალო მოქმედება. ამიტომ შეიძლება მსოფლიო სუპერკლასის და მისი პროექტის გაივივება შეთქმულებასთან.



(გაბრაქილავა იძნავა)
ქმიშვან ზარნაძე
599 52 60 30

FACEBOOK ოპიზი ქართულ სოციალურ სივრცეში

საზაფხულო შეგებულებების დრო იწურება და სოციალურ ქსელში პოლიტიკური დუღილის ტემპერატურა მატულობს. აგვისტოს ომის 11 წლისთავზე დაწვეულ დებატებს – შექმლოთ თუ არა საქართველოს ომის თავიდან აცილება, ფეისბუქ-ომების მთელი წყება მოჰყვა. სოციალური ქსელის მომხმარებელთა ნაწილი ფიქრობს, რომ სააკაშვილმა დასავლეთის რეკომენდაციები არ გაითვალისწინა და რუსეთის პროვოკაციას წამოეგო, ნაწილი კი დარწმუნებულია, რომ პუტინმა სამხედრო აგრესია ომამდე დიდი ხნით ადრე დაგეგმა და ამის თავიდან აცილება შეუძლებელი იყო.



„ქართულმა არტილერიამ ცხინვალის დაბოძება, როცა იქ ხალხი იყო ეს ნათლად წერია ტალიანის დასაკენაში“ – ამის შესახებ შალვა რამიშვილიმ „პოსტ-ტვ“ ანალიტიკაში განაცხადა და საზოგადოების მწვავე კრიტიკაც დაიწყო. მოგვიანებით, ჟურნალისტმა სოციალურ ქსელში განმარტა, რომ მხოლოდ რუსთაველზე მიმდინარე ანტიოკუპაციური აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორის მიერ 2012 წელს ნათქვამი გაახმოვანდა და მისი მისამართით ნათქვამი ყველა სალანძღავი სიტყვა დიდმელაშვილს ეკუთვნის, როგორც ტექსტის ავტორს:

„გუშინ გადავიღე ვიდეო რუსეთ-საქართველოს ომზე. დავდე „პოსტვ“ ანალიტიკაზე. მაგინებლების უზარმაზარი არმია შემომივარდა. მკვდარ-ცოცხალი არ დაბოლოვეს. ცემითაც დამემუქრნენ. გამკიცხეს და გამოათხეს, სამარცხვინო ბოძე გამაკრეს. მოდალატე, პუტინის მონა მიწოდეს... არა და მე მხოლოდ შოთა დიდმელაშვილის სტატუსი წავიკითხე აგვისტოს ომის შესახებ რომ დაწერა 2012 წელს“ – განაცხადა შალვა რამიშვილი.

ჟურნალისტის თქმით, დარწმუნებულია, რომ ნაციონალები და მათი მხარდამჭერები ქვეყნის „მთავარი ანტისაოკუპაციო აქციის“ სულისჩამდგმელს ამ „კოლაბორაციონისტულ ტექსტს“ გაუტარებენ და „ოკუპანტის მსახურად“ მას გამოაცხადებენ, თუმცა ეს არ აღეგულებს. „ჩემნაირებს ძალიან ღრმად ჰკიდიათ რას იტყვიან მათზე 9 ნომერი ქაჯი ჯანგო და ცუნა ჰიპსტერი გვარამია“ – წერს რამიშვილი.

აგვისტოს ომიდან 11 წლის შემდეგ, გორის სოფლების სახელოვეს უკანონო ბორდერიზაციის პროცესების გააქტიურება სოციალური ქსელის მომხმარებელთა ნაწილმა სააკაშვილის ხელისუფლების მიერ გაფორმებულ კაპიტულანტურ შეთანხმებებს დაუკავშირა. მაგალითად, ჟურნალისტი იოსებ ჭუმბურიძე დარწმუნებულია, რომ რუსეთი უბრალოდ, იღობავს 2008 წელს სააკაშვილის მიერ მონიშნულ (ნაჩუქარ) ტერიტორიას.

„2008 წლის ომამდე: 1. სააკაშვილმა კოდორის ხეობას ზემო აფხაზეთი უწოდა, ანუ რუსეთს მოუნიშნა წასადები ტერიტორია; 2. სააკაშვილმა შექმნა სამხრეთ ოსეთის დროებითი(?) ადმინისტრაცია და რუსეთს მოუნიშნა წასადები ტერიტორია.“

შედეგები: რუსეთმა წაიღო „ზემო აფხაზეთი“ და შიდა ქართლის „რამდენიმე ქვადორიანი სოფელი“ (მიშას გამოთქმა!).

2008 წლის ომი? სპექტაკლი რეალური მსხვერპლით. დღეს?

რუსეთი ბოლომდე იღობავს მიშას მონიშნულ(ნაჩუქარ) ტერიტორიას სხვა სიმართლე არ არსებობს!“ – წერს ფეისბუქში იოსებ ჭუმბურიძე.

ჟურნალისტის ფეისბუქ პოსტს პარტია „კანონი და სამართალი“-ს დამფუძნებელი შალვა რამიშვილიმ გამოეხმაურა და ჭუმბურიძეს „ოკუპანტის გამპრავებელი“ უწოდა:



„აი ამას უყურეთ რაა, ჩვენი ქვეყნის ანექსია მიმდინარეობს, ყოველ წამს მიწას ვკარგავთ და ეს ზღვარგადასული ჭანჭიკი, ოკუპანტის გამპრავებელი რას ბედავს. ხომ გახსოვთ ცოტა ხნის წინ ვწერდი! აი, ეს დაქირავებული“ ჟურნალისტი „ფოფხადის – გვარად „ჭ“.“

17 აგვისტოს ტელეკომანია „რუსთავი 2“-ის ყოფილმა გენერალურმა დირექტორმა საზოგადოებას ახალი ტელევიზიის დაფუძნების შესახებ ამცნო. ნიკა ბჰარამიას თქმით, „მთავარი არხი“ ეთერში იმაზე ადრე გავა, ვიდრე ვინმეს წარმოუდგენია.

„ნიკა გვარამიამ ერთი რამ თქვა და ორი ტყუილი“ – ასე გამოეხმაურა ანალიტიკოსი ირაკლი ლატარია რ2-ის ყოფილი დირექტორის განცხადებას:

„ახალი ტელევიზია დავარეგისტრირეთო?“

ჯერ ერთი, ტელევიზია არა – შპს ზეა საუბარი, რომელიც შეუძლია ყველას, ვინც მივა საჯარო რეესტრში და გადაიხდის 200 ლარს და მეორე და მთავარი, გუშინ (16 აგვისტოს) კი არა, პირველ მარტსა კომპანია დარეგისტრირებული, რომელიც კარგად ჩანს საჯარო რეესტრის ამონაწერიდან) 16 აგვისტოს კი, განახლება გაუკეთეს. არა რა, სიმართლის თქმა მათგან წარმოუდგენელია, ჯერ არ გაფართოვებულან და თავიანთ სექტანტებზე მუშაობენ უკვე“ – დაწერა ლატარია.



თუ ეს პოსტი ნაციონალებმა მეტ-ნაკლებად მშვიდად „გაატარეს“, შინაგან საქმეთა მინისტრის მხარდამჭერ სტატუსს კრიტიკის ქარცეცხლი დაატყდა თავს. მოვიანებით გაირკვა, რომ ამ მიმართულებით განსაკუთრებით, ნინო ჯანგირაშვილი იაქტიურა.

„არ ვაპირებდი ამის დადებას, მაგრამ ქალბატონ ნინო ჯანგირაშვილმა უკვე ძალიან ბევრი იკადრა და ყველას გვაგინებს ირბად და ცდილობს იყოს ზრდილობიანი. ეს მისი ქაჯური მესიჯია, რომელიც ეხებოდა იმ პოსტს, სადაც გახარიაზე ვწერდი სიმართლეს. კერძოდ იმას, რომ მისი მინისტრობის დროს უამრავი ბარიკა დაიჭირეს. ასეთი ჟურნალისტები, „ტეხავს“ – წერს ლატარია და ჟურნალისტთან მიმოწერის სქინის აქვეყნებს: „ირაკლი ლატარია – რატომ გაეფიქრეთ ამ ბოლო პოსტზე? საეჭვოდ. სულ კარგად ბრძანდებოდეთ.“

ნინო ჯანგირაშვილი – საეჭვოდ იმაზე დიდი ყ*ე ყოფილხარ, ვიდრე წარმოემდგინა.

ირაკლი ლატარია – რასაც



იმსახურებ, იმას არ ვიკადრებ, რომ გაკადრო“.

თუ გვარამია ახალი ტელევიზიის დაფუძნებას აანონსებს, ჟურნალი „ტაბულას“ დამფუძნებელი შალვა რამიშვილი „თავისუფლების ინსტიტუტის“ აღდგენის შესახებ ინფორმაციას ავრცელებს:

„ამბავი მაქვს მეთქი, ადრე ვთქვი! უკვე რეესტრში წავიდა დოკუმენტები და გამოვაცხადებ! თავისუფლების ინსტიტუტი აღდგა! მოკლედ, მასონთა ლოჟა ადგილზეა და ფორმაში დგება!“ – წერს ჟურნალისტი.

ჯერჯერობით, რა მიზანს ემსახურება ერთ დროს გავლენიანი ლიბერალური ინსტიტუტის აღდგენა, რომელიც წლების მანძილზე, საზოგადოებრივ – პოლიტი-



კურ პროცესებში დიად ერეოდა და ქვეყნის პოლიტიკურ ელიტას „თამაშის წესებს“ კარნახობდა, თუმცა ჟურნალისტი ფეისბუქ-პოსტს საზოგადოებაში უკვე მოჰყვა მწვავე გამოხმაურება.

„ეს დღევ დადგა, საქართველოში ფაშისმის ინსტიტუტი აღდგა, რათ უნდა თავისუფლებას ინსტიტუტი?“ – დაწერა ჟურნალისტი კოკა ყანდიაშვილმა სოციალურ ქსელში, რასაც თამარ ჟურნალისტი იმეილმა ასე უპასუხა: „ჯერ არაფერი გვიქნია და ეს პირუტყვები რა დღეში არიან“.

როგორც მოსალოდნელი იყო, კოკა ყანდიაშვილის ფეისბუქის გვერდზე მალე პასუხის პასუხიც გამოჩნდა:

„ეს კრუპსკაიაზე სიმბატიური – აღადგენს „თავისუფლების ინსტიტუტს“, სადაც ადამიანები, როგორც მოსალოდნელი იყო, თავიდანვე პირუტყვები არიან...“

თუ, ფაშისმ – გიგა ბოკერიას, ან მისი გულის სევასტიკა – ჩერგოს მონა არ ხარ, მაშინ შენ ხარ პირუტყვი. კარგი სლოგანია, „პირუტყვების ინსტიტუტი“... ბოკერია-ჩერგოლივიშვილის – „პირუტყვების ინსტიტუტი“.

და ბოლოს, ფეისბუქ-პოსტებიდან გამოვარჩიეთ საქართველოს პირველი პრეზიდენტის შვილის წერილი, სადაც ცოტნე ბამსა-ხუროლიანი ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ს გია ჭანტურიას შესახებ გასული სიუჟეტის გამო აკრიტიკებს.

„როდემდე არ უნდა დაილიოს ამ ქვეყანაში იუდეების მამები? როდის ზრუნავდა გია ჭანტურია ინსტიტუტებზე და ქვეყნის აღმშენებლობაზე, კითხვანს და ქვეყნის დამანგრეველს რუსთაველზე რომ პოლიტიკურ მხარდაჭერას აძლევდა, თუ დაკითხვებზე ხალხს რომ აწამებდა და ფეხებში ესროდა სამშობლოზე შეგვარებულ ადამიანებს, რომელთა ერთადერთი დანაშაული ის იყო, რომ ქვეყნის ნგრევა-ძარცვას და კანონიერი ხელისუფლებისთვის სროლას არ დაუჭირეს მხარი?! თუმცა, იუდა კაცი იყო ამათთან შედარებით!“

როდის უჭერდა ჭანტურია დამოუკიდებლობას მხარს, ედებეს რაზმები რომ ბალტინის ჯარებთან ერთად იბრძოდნენ სამეგრელოში ქართველების წინააღმდეგ?!

...ხალხს, რომელმაც არ იცის მისი წარსული, ვერასდროს ააშენებს მომავალს. და ვხედავთ ყოველდღე, რომ ლალატი აქ არ ტეხავს, არაა სირცხვილი, არა-ვინ შეიკავებს თავს მისგან, თან ცოტა მატერიალური ინტერესიც თუ მოსდევს... სწორედ ამიტომ, რომ მოდალატეს, ქვეყნის დამანგრეველს აქ არც მორალური შეფასება მისცემა და არც სამართლებრივი... ჰოდა, იმის იქეთაც წასულა ასეთი ქვეყანა!!!

ჰო, კიდევ, ილია ჭავჭავაძის მოძღვრება გადმოიბანა ჭანტურია ამ პოლიტიკაში, რომელი მოძღვრება, საქართველო – ქარ-



თველებისთვის, ედებეს პროგრამაში რომ ეწერათ? დაიხ, ძვირფასებო, ნამირალა ჭანტურია და სარიშვილი ზვიად გამსახურდიას აბრალებდნენ ამ ფრაზის ავტორობას, არადა, საკუთარი პარტიის საპროგრამო დოკუმენტში ეწერათ...“ – წერს გამსახურდია.

დუკლაბთა თარეში საქართველოში



დუკლაბი №1 აუ, ეს მართლა მბაბარი დუკლაბი ყოფილა, რაბა!

ისე, ხან მგონია, რომ ამათ ირაკლი ოქრუაშვილის ნაცვლად ნიკოლოზ ბარათაშვილი დაიჭირეს, რომელიც ცოტა ხანში გისოსებიდან ამოქარგულ „პლატოკს“ გადმოაგდებს. თუმცა რა გითხრათ, რით გაგახაროთ? ადამიანის მსგავსი არსება, რომელიც 20 ივნისის ღამეს პოლიციელებს ურტყამდა და ამის გამო ციხეში შეაგდეს, ძალიან ჰგავს დუკლაბს ოქრუაშვილს. მოკლედ მიჯახუნდა თუ არა მის ზურგს უკან რკინის მძიმე კარი, ეგრევე დაჯდა და „ესეებს“ წერა დაიწყო:

„ადვილი არაა სამართლო საკანში ყოფნა, როდესაც არც დამლაპარაკებელი გვაეს და არც ტელევიზორი გაქვს.

დილას კოლოს ხმამ გამაღვიძა. თავიდან ვიფიქრე მოგვლავ მეთქი, მაგრამ მალევე გადავიფიქრე. – მაინც მართო ვარ და ის მაინც მყავდეს თანამოსაკნედ მეთქი გავიფიქრე.

ცოტა ხანში გამოველაპარაკე და ვიფიქრე ასე უსახელოდ ხომ არ ვესაუბრები, რაღაც სახელს დავარქმევ მეთქი.

სახელის შესარჩევად ბევრი ფიქრი არ დამჭირებია და ორ წუთში ბიძინა დავარქვი, აბა სხვა რა სახელს დავარქმევდი, როდესაც მისი ერთადერთი ფუნქცია საკანში ისაა, რომ მე მიკბინოს და სისხლი ამომწოვოს, როგორც ნამდვილი ბიძინა წოვს სისხლს ქვეყანას.

თითქოს მიჩნია და გაითავისა სახელი. საკნის ბოლოში რომ იჯდეს და ბიძინა დაუძახო, ეგრევე მოფრინავს. როდესაც მკბენს, ვა-

გინებ და ამკარად ესმის. როდესაც დაფრინავს ან სადმე ზის, ვესაუბრები ფილოსოფიაზე, სახელმწიფოს მოწყობაზე, ქვეყნისა და ხალხის სიყვარულზე, მაგრამ ჭკუა, მისი ზომებიდან გამომდინარე, ზუსტად იმხელა აქვს, რაც ნამდვილ ბიძინას და თავში არაფერი შესდის.

ახლა ვფიქრობ რა მეთოდი მოვიგონო ისეთი, რომ მის პენტიუმ 0,0000005-იან თავში რამე შევიდეს, კი მკბენს და მწოვს სისხლს, მაგრამ მოსაკლავად მაინც მეცოდება.

როგორც ვეფელაფერს თავისი დასასრული აქვს, კოლოს ცხოვრებაც სადღაც უნდა დასრულდეს. 2020 წელს საპარლამენტო არჩევნებზე, საარჩევნო უბნები რომ დაიკეტება, ზუსტად 8 საათზე „მოვკლავ“.

ცხოვრებული ავლიბი ცოცხალი რომ იყოს, დაისვამდა წინ ამ უტრაკო ჯეფელს და დაუსვამდა ასეთ შეკითხვებს: ბატონო ირაკლი, ესე იგი, თქვენ ხშირად ესაუბრებით კოლოს ფილოსოფიაზე, სახელმწიფოს მოწყობაზე, ქვეყნისა და ხალხის სიყვარულზე, ხომ?

ირაკლი თავს ჩაქინდრავდა, მერე საკუთარ ხელებს დახედავდა და ამოიბუფბუფებდა – ჰო, ჩემო ბატონო, სწორედამა რომ ასეაო.

კეთილი, ეს ძალიან კარგაო, – მიუგებდა ავლიბი და ეგრევე გადავიდოდა მორე შეკითხვაზე: ესე იგი, თქვენ ღრმად ხართ დარწმუნებული, რომ ეგ კოლო ბიძინა ივანიშვილია, ხომ? აააა, გასაგებია, კეთილი.

ესე იგი, თქვენ ამბობთ, რომ კოლო გიჯერებთ, როდესაც დაუძახებთ, მოდის, ჯდება სავარძელში

და ყურადღებით გისმენთ. თუმცა აქვე ამბობთ, რომ სისხლს გწოვთ, ეს როგორ? ააა... მის თავში მაინც არაფერი შედის? ერთი ეს მითხარით, კოლოებთან ურთიერთობა ადრეც გქონიათ თუ ეს პირველი შემთხვევაა? ჰო, სააკაშვილმა რომ ის გიქნათ, მაშინ რწვილთან და ჭიანჭველასთან გქონდათ ურთიერთობა? რას მეუბნებით, ისინი რკოს გთხოვდნენ? და რას ამბობდნენ, რკო ვის უნდა მიუტანოთ? აააა... სააკაშვილსო, ხომ? არ მიეცით? კარგია, რომ არ მიეცით, წინააღმდეგ შემთხვევაში რკოს გარეშე დარჩებოდით და ცხოვრება უფრო გაგიჭირდებოდათ. ბატონო ირაკლი, ჩვენთან უნდა დაგტოვოთ, აქ ბევრი კოლოა, შეგიძლიათ, პარტიაც ჩამოაყალიბოთ, არჩევნებშიც მოიგოთ. აბა, ნახეთ, როგორ კარგადა ჟღერს: „თავისუფალ კოლოთა მოძრაობა“. ესე იგი, დარჩებით, ხომ? კეთილი და პატიოსანი, ჩვენ საუკეთესო პალატას შევირჩევთ.

დუკლაბი №2 ქალბატონი ინელი დუბილი

ვერასოდეს ვიფიქრებდი, ქალბატონ ენმელ მაჭავარიანზე თუ მომიწევდა წერა. დიახ, ამჟამად პარლამენტის წევრი როა და იქ საიდან მოხვდა, გაუგებარი როა. სხვათა შორის, გაუგებარი კიდევ ბევრი რამეა, მაგრამ ამაზე



უახლოეს მომავალში ვისაუბროთ.

მოკლედ, ქალბატონმა ენმელმა „სკანდალი“ გააძრო, ნუ იტყვით - ქალი, რომელიც ბიძინა ივანიშვილზე ლოცულობს და პარლამენტშიც არაერთხელ განაცხადა, სანამ ბიძინას ახსენებთ, პირი გამოირეცხეთ, კბილები გაიხეხეთ და თავებაც დაიბანეთო, დაბადების დღეს ამავე ბიძინას მოსისხლე მტერს, ათასნაირი სისულელისა თუ სიცრუის გამავრცელებელს ულოცავს დაბადების დღეს. ელენორა კილამეს ამ დღეებში 50 წელიწადი შესრულებია. თავისთავად, დაბადების დღის მილოცვა არაფერია, ყველა ადამიანს აქვს

უფლება, ვისაც უნდა, იმას მიულოცოს და ვისთანაც უნდა, ჭიქა იმასთან ასწიოს, მაგრამ აქ საუბარია „ოცნების“ დეპუტატზე, რომლის სურათებსაც ცოტა ხნის წინ თვით დიდი ელიკო, მისი შვილი და ე.წ. შურნალისტი ნანუკა შორჭოლიანი „ფეისბუქში“ დაათრევდნენ და ძალიან მწარედ ჰკილავენ. ეს ადამიანები სიბილწეებს რომ ავრცელებენ ბიძინა ივანიშვილზე, ეს უკვე აღვნიშნე!

ამოცანა გვეკითხება: რატომ უნდა შეასკდეს და იომოს „ქართული ოცნების“ მომხრე მოქალაქემ ამ ბინძურების წინააღმდეგ მაშინ, როცა იმავე „ქართული ოცნების“ წევრი, საქართველოს პარლამენტის დე-



აქვს კუდი გადაბმული (არ გამოვიცხავ, „ჩიტობდეს“ კიდევაც), ჩემი თაობის შურნალისტი. მართალია, მის მიერ რაიმე სერიოზული დაწერილ-გადაღებული არაფერი მინახავს, მაგრამ 2012-2013 წლებში, როცა ბატონი ბიძინა ფართომასშტაბიან პრესკონფერენციებს მართავდა, სულ იქ იჯდა, წინა რიგებში. არც შეკითხვას სვამდა, არც ემოციას გამოხატავდა რაიმე საკითხზე, უბრალოდ იჯდა და იჯდა. სულ მიკვირდა, კაცო, ნეტა ამ ქალს ან სარეცხი არ აქვს გასარეცხი, ან ცომი არ აქვს მოსახელი, ან ქვაბი არ აქვს გასახევი, ან კომპოტები არ აქვს მოსახევი-მეთქი? თუმცა მე, როგორც პატიოსან ოჯახში გაზრდილს,

არასოდეს მომსვლია აზრად, ეს შეკითხვა მისთვის პირადად დამეცა. თურმე სადა ბანაობ, თავო ჩემო? თურმე რისთვის იჯდა და იჯდა ივანიშვილის წინ „სკამეიკაზე“? აგერ, გავიხედე და რას ვხედავ, პარლამენტში არ მოვხვდა!

კიდევ ერთხელ ვიმეორებ: პირადად მე სულ ფეხებზე მკიდა, ვინ ვის რას მიულოცავს, უბრალოდ ვამბობ, რომ ეს ყველაფერი არის ამაზრზენი „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებისთვის, იმ ადამიანებისთვის, რომლებმაც თავი გადადეს „ნაციონალებთან“ და მათთან გათანაბრებულ ავანტიურისტებთან ბრძოლაში!

საკითხი მარტივია: თუ შენ მტრებს ტრაკში უძვრები, მე შენ რატომღა უნდა დაგიცვა, რატომღა უნდა გადაგეფარო, შე დებილო?

აი, ბოლოს მაინც წამომცდა, რომ ენმელ მაჭავარიანი ცოტა წაუღებოდა... პრინციპში, წაუღებოდა კი არა, უკვე სტაჟიანი დებილია!

გაელა ზამელაშვილი
555 48 48 61

კიდევ ერთი „სიკვდილის უდელტეხილგამოვილილი“ სოხუმელი ქალბატონი ბროლინა (ჩიტო) მსართიან-ახალანა ოჯახისა და ქვეყნის წინაშე ვალმოხდილი შეუდგა მარადისობას.



გულისტკივლით ვუსამძიმრებთ შვილებს – თამაზ და თამილა ახალაიებს, მმას ელგუჯა ესართიას.
პანაშვილი: პარასკევს და შაბათს. ვარკეთილი 3, II მ/რ, მე-9 კორპ. I სადარბაზო, ბინა 13.
ბამოსპენება: ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრიდან. ვარკეთილი, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქ. N77

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილაძე

გაზეთის გამოცემა შეზღუდულია
შპს „ელვა-ჯი“-ს მფლობელი
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
9 772233 398001

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში.
აგლამის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com